ტრანსგენდერი* ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში

2019

EQUALITY MOVEMENT

სარჩევი:

შესავალი 2
ტრანსსენსიტიური სამართალი 4
ტრანსფობიური ძალადობა საზოგადოების მხრიდან 6
ციფრული უსაფრთხოება 8
პოლიცია და ძალადობაზე რეაგირება 9
ქამინგაუთი და მხარდაჭერა 10
ეკონომიკური მდგომარეობა 11
სექსსამუშაო 16
ჯანდაცვა 19
გენდერის სამართლებრივი აღიარება 24
სერვისები და მათი მიღების ბარიერები 25
ინტერსექციური ჩაგვრა 27
შეჯამება 30

ავტორი: მაია (ნუკრი) ტაბიძე

შესავალი

> "ჩვენ მიწისქვეშეთში უნდა გადაგვენაცვლა, არ გამოვჩენილიყავით, რათა გვეცხოვრა და გვემუშავა. მაგრამ ჩვენ ღიად და ამაყად ცხოვრების უფლება გვაქვს... ადამიანების საზოგადოებაში სქესის და გენდერის მრავალფეროვანი გამოხატვა არსებობს. ყოველთვის, როცა ჩვენი ცხოვრება მიჩქმალულია, ადამიანები ამის გაცნობიერების შესაძლებლობას კარგავენ."
>
> *ლესლი ფაინბერგი, ტრანსგენდერი მებრძოლები: ისტორიის შექმნა ჟანა დარკიდან როდმანამდე*

ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია. ზოგადი განმარტებით სიტყვა "ტრანსგენდერი" ქოლგა ტერმინია და იმ ადამიანებს მიემართება, ვისი "გენდერული იდენტობა ან გამოხატვა დაბადებისას მათდამი მინიჭებული სქესის შესახებ მოლოდინებს არ ამართლებს" (Paisley, 2006). ტრანსფობია კი ამ ჯგუფისადმი სიძულვილს და ირაციონალურ შიშს გულისხმობს, რომლის გამოხატულებაც მრავალგვარი შეიძლება, იყოს; დაწყებული ადამიანის თავიდან არიდებით, დასრულებული მისი სიცოცხლის ხელყოფით.

საქართველოში ძლიერი ტრანსფობიური განწყობებია საზოგადოებაში, ისევე როგორც სხვადასხვა ინსტიტუტსა და კანონმდებლობაში. ეს ყოველივე ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებას მნიშვნელოვნად ართულებს და მათ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური საფრთხეების წინაშე აყენებს. ამის პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციები (ძირითადად სათემო ორგანიზაციები) რჩება ტრანსგენდერი თემისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვადასხვა სერვისის ერთადერთ მიმწოდებლად; ამ ორგანიზაციებმა ნაწილობრივ შეითავსეს ის ფუნქციები, რასაც, წესით, სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს. გარდა სერვისებისა, არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვის საკითხებს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ კონკრეტულ მოთხოვნებსაც ლობირებენ. ამის მიუხედავად, წლიდან წლამდე არც არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები ხორციელდება და არც ტრანსგენდერი ადამიანების სიტუაცია უმჯობესდება ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით. შედეგად ძალიან ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი ევროპაში მიდის და თავშესაფარს იქ ეძებს.

წინამდებარე კვლევა სწორედ ტრანსგენდერი ადამიანების გამოცდილების ასახვას, მათი საჭიროებების, სურვილების გამოვლენას ემსახურება, რათა შემდგომ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აქტივისტებს, ისე სხვადასხვა უწყებაში დასაქმებულ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, პოლიტიკის შესაბამისად დაგეგმვის საშუალება მიეცეთ.

კვლევის მიზანია ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების შესწავლა საქართველოში. კვლევის უფრო კონკრეტული ამოცანებია, საქართველოში:

1. შეფასდეს ტრანსგენდერი ადამიანების სამართლებრივი საჭიროებები;
2. შეფასდეს ტრანსგენდერი ადამიანების ფიზიკური და კიბერ უსაფრთხოება;
3. შეფასდეს ტრანსგენდერი ადამიანების სოციო-ეკონომიკური საჭიროებები;
4. შეფასდეს ტრანსგენდერი ადამიანების სამედიცინო საჭიროებები;
5. შეფასდეს ტრანსგენდერი ადამიანების ფსიქო-სოციალური საჭიროებები;
6. იდენტიფიცირდეს ტრანს* ადამიანების საჭიროებები სოციალური, სამედიცინო და სამართლებრივი სერვისების მიღებისას ლგბტ ორგანიზაციებში;
7. გაიცეს კონკრეტული რეკომენდაციები ზემოთ ჩამთვლილი საჭიროებების საპასუხოდ.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის გასახორციელებლად შემუშავდა სპეციალური ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც პირისპირი ინტერვიუს (17 ადამიანი) სახით და ონლაინ (1 ადამიანი) ადმინისტრირდა 18 ადამიანთან. წინამდებარე კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევა თვითგანსაზღვრას ეფუძნებოდა - ყველა ადამიანი, რომელიც თავს ტრანსგენდერად განსაზღვრავს მისი გენდერული გამოხატვის მიუხედავად, პოტენციური რესპონდენტი იყო. შესაბამისად, კვლევამ ტრანსგენდერი ადამიანების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრი მოიცვა. რესპონდენტების მოძიება თოვლის გუნდის პრინციპით მოხდა. მონაწილეთა ასაკი მერყეობს 14-დან 46 წლამდე, ასაკის საშუალო მაჩვენებელი 28 წელია. გამოკითხულთაგან 2 რესპონდენტი ბათუმში ცხოვრობს, 3 - ქუთაისში, 1 - რუსთავში, დანარჩენი 12 კი - თბილისში. რესპონდენტებს შორის 7 ტრანსგენდერი ქალად აიდენტიფიცირებს თავს, 5 ტრანსგენდერ კაცად, 1 - ბიგენდერად, 1 - ტრანსმასკულინურად, 1 - ტრანსფემინურად, 1 გენდერ-ფლუიდად, 1 - ქროსდრესერად და 1 - აგენდერად.

მიუხედავად იმისა, რომ საჭიროებების კვლევა დიდწილად აღწერითი ხასიათისაა და უკვე წინასწარფორმულირებულ შეკითხვებს ეყრდნობა, კვლევის პროცესში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიპოვეთ, რომელსაც ციტატების სახით გთავაზობთ. კვლევისთვის არსებითია, რომ მონაწილეების პერსპექტივიდან მათივე ენით გაჟღერებულიყო

მათ წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები. მართალია, კვლევის განზოგადება შეუძლებელია, თუმცა ინფორმაცია იმდენად ხშირად მეორდებოდა, რომ ცალსახად შეიძლება, ვისაუბროთ გარკვეულ ტენდენციებზე, რომლებიც ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებას თან სდევს საქართველოში.

ტრანსსენსიტიური სამართალი

საქართველოში ტრანსსაკითხები დიდწილად სამართლისა და ადამიანის უფლებების კონტექსტში განიხილება. ეს ტენდენცია გამოიხატება იმ საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებში, რომლებიც უფრო ზოგადად ძალადობასა და დისკრიმინაციისგან დაცვას, და უფრო კონკრეტულად, მაგალითად, სქესის სამართლებრივ აღაირებას მოიცავს. ფემინისტური ბრძოლა საქართველოში გარკვეულწილად ეფექტური გამოდგა და რიგი საკანონმდებლო ინიციატივების წარმატებულად განხორციელებაში გამოიხატა. თუმცა, კანონმდებლობისადმი ფემინისტური მიდგომა გულისხმობს არა მხოლოდ კანონის შინაარსის კრიტიკულ შეფასებას, არამედ მის ტენდენციურობას, უპირატესობა მიანიჭოს "უნივერსალურ სუბიექტს" (ჰარისი,1990).

ჰარისი (1990) სამართალს გენდერულ ესენციალიზმში ადანაშაულებს. რაც გულისხმობს, რომ ფემინისტური კრიტიკის შემთხვევაშიც სამართალი მხოლოდ ქალების გარკვეული ჯგუფის გამოცდილებას მიემართება და უგულებელყოფს გენდერული და სქესის ნიშნით ჩაგრული ადამიანების გამოცდილებისა და საჭიროებების მრავალფეროვნებას. ამის საპირისპიროდ ეფექტური ფემინისტური ლეგალური ანალიზისთვის მაიედა შემდეგ მიზნებს სახავს: 1. ტრადიციულ ლეგალურ ანალიზში ესენციალიზმის იდენტიფიკაცია; 2. ჩვენება, თუ როგორ ვერ იყენებს კანონი ესენციალისტურ პოზიციას კონსისტენტურად; 3. კანონში ჩაშენებული სოციალური ნორმების შესაძლო დისკრიმინაციული გავლენის დემონსტრაცია; 4. მოსამართლეების როლის გადააზრება. (Mayeda, 2005).

საქართველოს შემთხვევაში კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპარეზზე უნივერსალურ სუბიექტად ქართველი ჰეტეროსექსუალი კაცი მოაზრება. თუმცა ამ მოცემულობის სამართლებრივი კრიტიკა, როგორც საერთაშორისო კონვენციების ხელმოწერამ და ევროკავშირისკენ სწრაფვამ, ისე ადგილობრივმა ქვემოდან წამოსულმა ქვიარ და ფემინისტურმა მოძრაობამ, გარკვეულწილად შეცვალა. "კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ", საზოგადოების გაზრდილი ცნობიერება ქალთა მიმართ ძალადობაზე და ოჯახში

ძალადობის შემთხვევაში ქალების მხრიდან პოლიციისადმი მიმართვიანობის საგრძნობი ზრდა ამის ნათელი მაგალითებია (შსს, 2018).

მიუხედავად ამისა, ძალიან დაბალია საზოგადოების მგრძნობელობა ტრანსგენდერი ქალების ფემიციდისა და ტრანსფობიური ძალადობისადმი. შესაბამისად, მოუქნელია კანონმდებლობაც. 2014 წელს შემოღებულმა კანონმა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მოიცვა გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია (საქართველოს პარლამენტი, 2014); თუმცა, ამ კანონის აღსრულება, როგორც წესი, მხოლოდ სახალხო დამცველის მიერ რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება. ბიზნეს სექტორს, ფაქტობრივად, ხელშეუხებელს ტოვებს და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური, ტრანსფობიური და სექსისტური განწყობების ფონზე ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრების ხელშესახები გაუმჯობესების მინიმალურ შესაძლებლობას იძლევა. ანალოგიური მდგომარეობაა ტრანსფობიური დანაშაულების შემთხვევაშიც, სადაც პოლიციაც და სასამართლო სისტემაც, მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, პრაქტიკაში უგულებელყოფს ტრანსფობიას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას სისხლის სამართლის დანაშაულების დროს.

გარდა ამისა, 2018 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულმა ცვლილებამ კონსტიტუციაში ქორწინება "კაცის და ქალის" ერთობად ცნო. ეს ღიად ჰომოფობიური მუხლი არა მხოლოდ ერთი და იმავე სქესის ადამიანების ქორწინების უფლებას გამორიცხავს, ის ნეგატიურად აისახება ტრანსგენდერ ადამიანებზეც, ვინაიდან: 1. გამორიცხავს ყველა ტრანსგენდერ ადამიანს, რომელსაც მისთვის დაბადებისას მინიჭებული სქესის მქონე პარტნიორი ჰყავს; 2. კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბიოლოგიური სქესის მნიშვნელობას ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებების მინიჭებისას; 3. კანონი დისკურსის დონეზე აძლიერებს ტრანსფობიურ განწყობებს ტრანსგენდერი ადამიანების ჰომოსექსუალ ადამიანებთან ძლიერი აფილაციის გამო. ესენციალიზება მიემართება "სქესის", როგორც უკიდურესად დიდი მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ კატეგორიად აღიარებას, ისე გამოცდილების უგულებელყოფას კონვენციური გენდერული როლებიდან გადახრის შემთხვევაში. თუმცა, მაედას ანალიზს თუ მივუბრუნდებით, სამოქალაქო საზოგადოების პასუხი ამ დისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე ძალიან სუსტი იყო და მასში ჩაშენებული დისკრიმინაციული ხასიათის ადეკვატურად "მხილება" ვერ მოხერხდა თუნდაც ლგბტი თემის შიგნითაც კი.

გარდა ექსპლიციტური ინსტიტუციონალიზებული ტრანსფობიისა, ზემოხსენებული მიზეზები და კანონი ერთი და იმავე სქესის ტრანსგენდერ პარტნიორებს შორის ძალადობის ან ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ართულებს შემაკავებელი ორდერის გამოწერას, ვინაიდან ორდერის გამოწერა მხოლოდ კანონით განსაზღვრული მდედრობითი სქესის პარტნიორობების პრეროგატივაა. ამის მაგალითია გახმაურებული შემთხვევა, როცა ტრანსგენდერ ქალს, მირანდა

ფაღავას, თავს დაესხნენ, მაგრამ ორდერის გამოწერა ვერ მოხდა, ვინაიდან მსხვერპლს დოკუმენტებში არ აქვს სქესის შესახებ ჩანაწერი შეცვლილი თავისი გენდერული თვითაღქმის შესაბამისად. ერთი მხრივ, ამგვარი კანონმდებლობა ასახავს არსებულ ძალაუფლებრივ გადანაწილებას საზოგადოებაში და იცავს ქალად მონიშნულ სხეულებს გენდერული ძალადობისგან. თუმცა ის ესენციალისტურად უყურებს როგორც ჩაგვრას, ისე გენდერულ გამოხატვას. ამგვარ კანონმდებლობასთან დაპირისპირება განსაკუთრებით რთულია, ვინაიდან ის ქალებს ჩაგრულ ჯგუფად განსაზღვრით იცავს, თუმცა, მეორე მხრივ, გამორიცხავს სხვა ჯგუფებს, რომლებიც ასევე იჩაგრებიან გენდერული ნიშნით. შესაბამისად, ესენციალიზმთან დაპირისპირება კანონში გენდერის გაგების გაფართოებით უნდა მოხდეს და არ იყოს მხოლოდ მდედრობითად მონიშნულ სხეულებზე მიბმული.

ტრანსფობიური ძალადობა საზოგადოების მხრიდან

კვლევა აჩვენებს, რომ ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები ძალადობისგან დაცვის თვალსაზრისით ძალიან მაღალია, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, რიგი კანონების აღსრულება და ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების ბაზისური უფლების განხორციელება უმრავლეს შემთხვევაში ან ვერ ხერხდება, ან ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს.

აბსოლუტურად ყველა გამოკითხული ადამიანი ყოფილა რამე ფორმის ვერბალური ძალადობის მსხვერპლი ქუჩაში, რაც უმეტესწილად გენდერულ გამოხატვას მიემართებოდა. ამ სიტუაციებში უმრავლესობა ცდილობს, განერიდოს მოძალადეს და თავი აარიდოს სიტუაციის გამწვავებას, ვინაიდან ამგვარი ვერბალური თუ არავერბალური ძალადობა ფიზიკურ ძალადობაში გადაზრდის დიდ საფრთხეს შეიცავს. ყველა ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ ქუჩაში ძალადობის ინცინდენტები იმდენად ხშირია, რომ ყურადღებას აღარ აქცევენ. მიუხედავად განსხვავებებისა, გამოკითხული ტრანსგენდერი ადამიანების გამოცდილება სხვების მხრიდან მათდამი ნეგატიური დამოკიდებულების თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში საგანგაშოდ მსგავსი და ზოგჯერ იდენტურიც კია. სახლსა და ქუჩაში როგორც ვერბალური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, არსებითი განსხვავებებია ტრანსგენდერი ქალების (ტრანსფემინურების) და კაცების (ან ტრანსმასკულინურების) გამოცდილებებს შორის ინტენსივობისა და სიხშირის თვალსაზრისით.

ძალადობა ტრანსფემინური ადამიანების მიმართ

ტრანსფობიური ვერბალური ძალადობის შემთხვევები მეტწილად ტრანსგენდერ ქალებს მიემართებათ და ყველაზე ხშირად და ინტენსიურად "პლეშკაზე" ხდება. ძალადობის ამგვარი ინტენსივობა და სიხშირე ტრანსგენდერი ადამიანებისთვის და, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ქალებისთვის, კეტავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობებს, რაც ამ ჯგუფის ერთგვარ "გეტოიზებას" ახდენს. არაფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად ერთხმად სიტყვიერი შეურაცხყოფა სახელდება; ასევე სხვადასხვა ფორმას იღებს დაწყებული დაჟინებული მზერით, დასრულებული ნებართვის გარეშე ქუჩაში ფოტო-ვიდეო გადაღებით, დაცინვით, და საბოლოოდ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის მტრულ გარემოს ქმნის. ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი გვეუბნება: *"იმდენად ხშირად გიყურებენ, რომ მარკეტში რიგში არ ვდგები. ტრანსპორტით ვერ ვმგზავრობ, ტაქსისტებიც გიყურებენ. შევეგუესავით, ადრე უფრო იყო აგრესია, შეიცვალნენ უფრო, მაგრამ სადღაციდან სულ გამოჩნდება შერეკილი."*

ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში ფიზიკური ძალადობის გამოცდილებები ქუჩაში ბევრად უფრო ხშირ ხასიათს ატარებს, თუმცა ეს პრობლემა სექსსამუშაოსთან პირდაპირ კავშირშია. ამ სფეროში კი უმეტესად ტრანსგენდერი ქალები არიან ჩართული. ძალადობის გამოცდილებებიც დიდწილად სწორედ "პლეშკას" და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიას უკავშირდება. ძალადობა ასევე დიდწილად კავშირშია რესპონდენტების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ისინი, ვინც ღარიბი ოჯახებიდან მოდიან ან ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება აქვთ, ან მათ ოჯახებს არ ჰქონიათ სახლი (3 ადამიანი), საუბრობენ სექსუალური და ფიზიკური ძალადობის გამოცდილებებზე. ხშირია "პლეშკაზე" სხვადასხვა ნივთების სროლა, ქუჩაში მათი დამარტოხელება და ცემა. ერთ-ერთი რესპონდენტი გვიყვება:

"ერთხელ ცირკის პადზემკაში მომივიდა ჩხუბი და 8 იყვნენ და დამასისხლიანეს. ბოლოს ერთმა თქვა მგონი მოკვდაო და დამაგდეს ასე. არც მახსოვს როგორ ამოვედი პადზემკიდან. ვიღაც წყვილს ვეჯექი უკვე მანქანაში გონს რომ მოვედი"

ძალადობა ტრანსმასკულინური ადამიანების მიმართ

ტრანსგენდერ კაცებს და ტრანსმასკულინურ ადამიანებს განსხვავებული ფორმის ძალადობა მიემართება. ერთ-ერთი რესპონდენტი გვიყვება, როგორ გახდა "გამოსასწორებელი" ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი მასკულინური გამოხატვის გამო. "გამოსასწორებელი" აქტივობები ხშირად მეორდება რესპონდენტების ნარატივში და სხვადასხვა ფორმას იღებს. ვინაიდან

მდედრობითად მონიშნული სხეულები უფრო მორჩილ სუბიექტებად აღიქმება, რესპონდენტების მიმართ შესაბამისი "დისციპლინირების" მეთოდებს მიმართავენ. ერთი ტრანსგენდერი კაცი გვიყვება ამგვარი "სამედიცინო დისციპლინირების" გამოცდილებაზე:

"წელიწადნახევრის წინ დედამ ენდოკრინოლოგთან მიმიყვანა თმიანობის გამო. მოიყვანეს მაგალითი ვიღაც გოგოსი, რომელსაც "უცნაური" აზრები აწუხებდა და მერე ეშველა. თავიდან გავჯიუტდი, მარა უარი ვერ ვუთხარი და ბოლოს წავყევი, მეგობრებსაც ეგონათ, რომ ჰორმონებს რო დავლევ ორიენტაცია შემეცვლება და კაბებს ჩავიცმევ და მე არ მჯეროდა მაგის. ექიმმა გეტყობაო, რომ ძალით მოგიყვანესო... და დასტრესილი ვიყავი. ბოლოს მითხრა: შენი სურვილი უნდა იყოს ეს, არ გინდა გათხოვება, არ გინდა ბიჭები მოგეწონოს. წამლები დამინიშნა, ანალიზებში ტესტოსტერონი იყო მომატებული და დავლიე წამლები 6 თვე, საბედნიეროდ არც ბიჭები მომწონებია. რისი მიღწევა უნდოდა მაგით არ ვიცი, მაგრამ არ გამოუვიდა."

ამ მონათხრობში აშკარად იკვეთება როგორც სექსისტური, ისე ტრანსფობიური და ჰომოფობიური დისკრიმინაცია. როგორც მდედრობითად მიჩნეულ სუბიექტს, საზოგადოების გადმოსახედიდან აუცილებლად უნდა უნდოდეს გათხოვება და მოსწონდეს კაცები. გენდერულად არაკონფორმული გამოხატვა პირდაპირ უპირისპირდება "სწორი ქალობის" (გათხოვების და ჰეტეროსექსუალობის) როლს, რაც "მკურნალობით" უნდა გამოსწორდეს. კიდევ ერთი რესპონდენტი საუბრობს, როგორ სთავაზობენ უცნობი კაცები სექსს მისი "გამოსწორების" მიზნით. "იქნებ ნამდვილ კაცთან სექსი არ გქონია", - სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის გამართლების ერთ-ერთი გავრცელებული არგუმენტია, რომელიც ფსიქოლოგიურ დამცირებას ემსახურება. კიდევ ერთი ტენდენცია, გარდა "დისციპლინირებისა", ტრანსმასკულინობის და ტრანსგენდერი კაცების გამოცდილების "ფაზად" შერაცხვა და არასერიოზულად აღქმაა. რესპონდენტები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ამ გამოცდილებაზეც მიუთითებენ.

ციფრული უსაფრთხოება

ქუჩასა და საჯარო ადგილებში ფიზიკური და ვერბალური ძალადობის გარდა ძალიან ხშირია სოციალურ ქსელებში ბულინგიც. უკლებლივ ყველა რესპონდენტი ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის მისაღებად, სექსმუშაკებისთვის კლიენტების მოძიების წყაროცაა. ინტერნეტში ტრანსგენდერ ადამიანებზე პერიოდულად კიბერთავდასხმები ხორციელდება როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე ნეოფაშისტური ჯგუფების მხრიდან. გამოკითხულთაგან 12 ადამიანი ყოფილა ხშირი ბულინგის მსხვერპლი ონლაინ ან/და შექმნია პრობლემები ონლაინ დადებული ფოტოს ან გამოხატული აზრის გამო ოჯახთან, მეგობრებთან ან/და მეზობლებ-ნაცნობებთან. რესპონდენტები ჰყვებიან, როგორ უვრცელებენ ფოტოებს,

უწერენ ტრანსფობიურ კომენტარებს. საბოლოოდ, ინტერნეტი ცალსახად მტრულ გარემოდ შეგვიძლია, მივიჩნიოთ, თუმცა საკუთარი აზრისა და თავის გამოხატვისთვის ბრძოლა ონლაინ ძალიან აქტიურია. 10 რესპონდენტი ამბობს, რომ საკუთარ აზრს ონლაინ ხშირად ან ყოველთვის გამოხატავს. ეს უკანასკნელი მონაცემი მიუთითებს, რამდენად კონტროვერსიული შეიძლება იყოს კიბერ აქტივიზმი. ერთი მხრივ, ის ანონიმურობის საშუალებას აძლევს მოძალადეს, რაც მტრულ გარემოს ქმნის მარგინალიზებული ჯგუფებისთვის. მეორე მხრივ, ანალოგიური ანონიმურობისა და ერთმანეთთან დაკავშირების, ინფორმაციის მოძიების საშუალებას წარმოადგენს ჩაგრული ინდივიდებისთვის. ტრანსფობიურ საზოგადოებაში, სადაც ქამინგაუთის დიდი პრობლემაა, ანონიმურობისა და საკუთარი თემის პოვნის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი უპირატესობა შეიძლება, გახდეს როგორც საკუთარი თავის გამოსახატავად, ისე სხვებთან დასაკავშირებლად.

პოლიცია და ძალადობაზე რეაგირება

რაც შეეხება ფიზიკურ ძალადობაზე რეაგირებას, ვისაც მრავალჯერადად აქვს ძალადობის გამოცდილება (9 რესპონდენტი), არაერთხელ მიუმართავს პოლიციისთვის. პოლიციის მერე ყველაზე ხშირია მიმართვა არასამთავრობო ორგანიზაციისადმი და მისი ადვოკატისადმი. შედარებით იშვიათია ომბუდსმენისადმი მიმართვიანობა. მიმართვიანობის სიმცირეს ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც ასევე ტრანსაქტივისტია, შემდეგნაირად ხსნის: "ქამინგაუთის" პრობლემაა, ქეისები ხშირად ბოლომდე ვერ მიდის." ანალოგიურ პრობლემაზე მიუთითებენ იურისტებიც. თუმცა, საკუთარი იდენტობის გამჟღავნების შიშის არარსებობის შემთხვევაშიც პოლიციამდეც კი ვერ აღწევს ხშირად ძალადობის ფაქტები.

პოლიციის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარის გამოცდილება ძალიან ხშირია ტრანსგენდერ ადამიანებში. ყველას, გარდა ერთისა, (9) ვისაც მიუმართავს პოლიციისთვის და 2 რესპონდენტს, რომელსაც თავისი ინიციატივით არ მიუმართავს სამართალდამცავებისთვის, აქვს პოლიციის მხრიდან დამცინავი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის გამოცდილება. გარდა ამისა, რესპონდენტებისა და, ზოგადად, თემის წევრების მხრიდან მსმენია პოლიციის მხრიდან სექსუალური ძალადობისა და შევიწროების ფაქტებზეც, რაც ფულადად ან პოლიციელების მხრიდან მათი "დაცვით" ანაზღაურდება. რამდენიმე შემთხვევაში რესპონდენტები საუბრობენ პოლიციის მხრიდან შანტაჟზეც. სექსმუშაკების შემთხვევაში კი "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს" აღწერილი აქვს ტრანსგენდერი ქალების უკანონო დაკავების შემთხვევებიც, რომლებიც "წვრილმანი ხულიგნობისა" და "პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის" მიზეზით იხსნება, თუმცა, სინამდვილეში ძალადობის ფაქტებზე ტრანსგენდერი ადამიანების მიერ პოლიციის გამოძახებას სდევს თან (WISG, 2018). საბოლოოდ, ამგვარი მოპყრობა ძალადობის

შემთხვევაში ტრანსგენდერი ადამიანების გაჩუმებასა და ხელახალ (ამჯერად უკვე პოლიციისგან) ვიქტიმიზაციას ემსახურება.

პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული და ძალადობრივი მოპყრობისას 10-დან 7 შემთხვევაში გენერალურ ინსპექციაში დარეკეს, 3-ში კი არაფერი მოუმოქმედიათ. რესპონდენტების თქმით, პოლიციის "მოგერიებაში" საკუთარი უფლებების ცოდნა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აფილაცია ეხმარებათ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

"კანონის ენით ვიწყებ ლაპარაკს და რო იგებენ რომ არასამთავრობოში მიმუშავია და მაქვს "ბლატები", იცვლიან ტონს. სანამ არ ეტყვი, რომ 126-ს (გენერალური ინსპექციის ნომერი), გამოვიძახებ, ტელევიზიებს, ნეტგაზეთს დავურეკავ, არაფერს აკეთებენ. ეშინიათ გაშუქება. და ვინც არ იცის კანონი, მისი ხმა ვერ აღწევს და იჩაგრება პოლიციისგან. მოძალადეებს კიდე უშვებენ სახლში და ხელწერილს ართმევენ უბრალოდ, რასაც მარტო 24 სთ აქვს ვადა, მერე რას შვები? სადმე რო შემხვდეს? პოლიცია ხო არსებობსო გპასუხობენ. დარეკვისასაც იმდენ კითხვას მისვამენ და დროზე არ მოდიან, ამიტომ მირჩევნია უკვე პირადად გავუმკლავდე."

ამის გარდა, აღსანიშნავია, რომ ძალადობასთან გასამკლავებლად ტრანსთემი იყენებს ჯგუფური თავდაცვის ხერხებს, ცრემლსადენ სპრეებს და ელექტროშოკებს, რაც უფრო ეფექტურად მიიჩნევა გარკვეულ სიტუაციებში. საგულისხმოა, რომ რესპონდენტების თქმით, პოლიციის მხრიდან დამოკიდებულება ბოლო წლებში მხოლოდ უარესობისკენ შეიცვალა.

პოლიციის მხრიდან ძალადობა და დისკრიმინაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები უბიძგებს რესპონდენტებს, აღარ მიმართონ სამართალდამცავებს, რადგან მათგან მეტი დამცირებისა და ძალადობის საფრთხე არ შეექმნათ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ცემის დროს არ წავიდა საავადმყოფოში, ის ამბობს: "საავადმყოფოში არ მომხედავდნენ, სანამ პოლიცია არ მოვიდოდა". პოლიციის მხრიდან დამცინავი და დისკრიმინაციული დამოკიდებულების თავიდან არიდების მიზნით კი სამედიცინო მომსახურებასა და სასწრაფოს გამოძახებაზეც უარი თქვა. ამგვარად, ესენციალისტური კანონმდებლობა და მისი არასათანადო აღსრულება როგორც პირდაპირ, ისე ირიბად, აისახება ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ქამინგაუთი და მხარდაჭერა

ფიზიკური, ვერბალური თუ კიბერთავდასხმები განსაკუთრებით საშიშია იმ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის, ვისაც თავისი იდენტობა რომელიმე წრეში (მაგ. ოჯახში ან სამსახურში) გამჟღავნებული არ აქვს. იდენტობის გამჟღავნების შიშმა შესაძლოა, პოლიციის გამოძახებისგან თავის არიდებისკენ უბიძგოს ან/და შემდგომ საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლაზე უარი ათქმევინოს. იძულებითი ქამინგაუთის და ამით შანტაჟის მსხვერპლიც უფრო ხშირად სწორედ ეს ადამიანები ხდებიან. უფრო მეტიც, ერთ-ერთი რესპონდენტი პოლიციის მხრიდანაც კი ყოფილა შანტაჟის მსხვერპლი, სანამ ყველასთან დაქამინგაუთდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს შორის 12 ადამიანი ყველგან დაქამინგაუთებულია, ხოლო დანარჩენები მეგობრების წრეში მაინც არიან დაქამინგაუთებული, საკუთარი იდენტობის გამჟღავნება შესაძლოა, გარკვეულ სიტუაციებსა და კონკრეტულ სუბიექტებთან (მაგ. მეზობლებთან ან ონლაინ) არ სურდეთ. პირადი ინფორმაციის გამჟღავნება კანონით ისჯება, თუმცა ამ უფლებით ბევრი ვერ სარგებლობს, რადგან გამოძიების პროცესში ქამინგაუთის რისკი იზრდება. ეს ერთგვარ ჩაკეტილ წრეს ქმნის და საბოლოოდ არცერთ გამოკითხულ სუბიექტს, რომელიც შანტაჟის მსხვერპლი ყოფილა, არ მიუმართავს ამის გამო სასამართლოსთვის.

ოჯახი და ახლო წრეები

ოჯახის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმია რესპონდენტების მოწყვლადობის შესაფასებლად. გამოკითხულთაგან მხოლოდ ნახევარს აქვს ნაწილობრივი მხარდაჭერა რომელიმე ოჯახის წევრისგან. ისინი ასევე ამბობენ, რომ თუ დღეს გარკვეულ მხარდაჭერას იღებენ, თავიდანვე ასეთი მიმღებლური არ იყვნენ მშობლები. ერთი რესპონდენტი ქალი ამბობს, რომ მისმა დამ თავისი ქმრისგან მალულად აღადგინა კომუნიკაცია მასთან. მეორე ჰყვება: "დედაჩემი ამბობს, არ მეგონა, ტრანსგენდერი შვილი ასე თუ მომივლიდაო." ტრანსგენდერი კაცი გვიყვება, რომ მისი ჩაცმულობა და მასკულინური გამოხატვა დედამისის და ნათესავების მუდმივი განსჯის საგანია, თუმცა დასძენს: "დედა მაინც მე რომ მომწონს, ისეთ ტანსაცმელს მყიდულობს ხოლმე." აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრების მხრიდან, როგორც წესი, მხარდაჭერას ვერ იღებენ; მხოლოდ 6 რესპონდენტი ამბობს, რომ ყოველთვის აქვს მხარდაჭერა დედის/შვილის მხრიდან, ხოლო დანარჩენი 9 იშვიათად ან არასდროს იღებს მხარდაჭერას. სამსახურებში ან არ არიან დაქამინგაუთებული, ან მხოლოდ ორგანიზაციებსა ან სექსსამუშაოში ჩართული ადამიანები იღებენ მხარდაჭერას, ნაცნობები და ნათესავები კი მხოლოდ ორჯერ დასახელდა, დანარჩენ შემთხვევაში არასდროს იღებენ მათგან მხარდაჭერას.

როგორც ვხედავთ, გარემო, როგორც ოჯახში, ისე ფიზიკურ და ვირტუალურ საჯარო სივრცეში, ტრანსგენდერი ადამიანებისადმი მტრულია. ერთ-ერთი სტრატეგია, რასაც მასთან გასამკლავებლად მიმართავენ, არის "ორმაგი" ცხოვრება. როცა ერთი ანგარიში ქსელში აქვთ ოჯახის წევრების და ნათესავებისთვის და ცალკე თემის წევრების და მოკავშირეებისთვის. უკანასკნელი საშუალებას აძლევთ, თავიანთი გენდერული იდენტობა და შეხედულებები თავისუფლად გამოხატონ. ფიზიკურ სივრცეში ეს შედარებით უფრო პრობლემურია, ვინაიდან რეალური ფიზიკური ძალადობის საფრთხეებს შეიცავს, ამიტომ სოციალიზაციის ადგილები ძალიან მწირია და გეი ბარებით, მეგობრული ბარებით, კლუბებით, ორგანიზაციით და სახლით შემოიფარგლება. რეგიონებში სოციალიზაციის კიდევ უფრო დიდი პრობლემაა და მხოლოდ უკანასკნელი ორი ვარიანტია ერთმანეთის გასაცნობად და საზოგადოებაში დროის გასატარებლად.

საბოლოოდ, ინტერნეტი რჩება კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად. როგორც უკვე აღვნიშნე, ინტერნეტსა და საჯარო სივრცეებზე წვდომა ნიშნავს ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომას და ამ საზოგადოებაში დისკრიმინაცია ყველაზე ნაკლებად აღიარებულ და რეგულირებულ პრობლემას წარმოადგენს. ამ საკითხს აქტივიზმზე საუბრისას დავუბრუნდებით. მანამდე მინდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს - დასაქმებას და ეკონომიკურ მდგომარეობას შევეხო.

ეკონომიკური მდგომარეობა

ეკონომიკური პრობლემები და არასტაბილურობა წამყვანია ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში. დისკრიმინაციის შიში და ნეგატიური განწყობები იმდენად მაღალია, რომ ტრანსგენდერი ადამიანების უმრავლესობა ვერ ახერხებს სწავლას და სამსახურის ძებნასაც კი. გამოკითხულთაგან ყველა ტრანსგენდერ ქალს და ტრანსფემინურ ადამიანს ჰქონია სექსსამუშაოში გამოცდილება. სულ ამჟამად 6 რესპონდენტისთვის წარმოადგენს სექსსამუშაო შემოსავლის ძირითად წყაროს, 4 რესპონდენტი დაუსაქმებელია და ოჯახის წევრის შემოსავალზეა დამოკიდებული, დანარჩენები კი არასამთავრობო ან/და მომსახურების სექტორში არიან დასაქმებული, მათ შორის 5 ამბობს, რომ სექსსამუშაო მათთვის ჰობია, რომელსაც შეიძლება, პერიოდულად მიუბრუნდნენ. სექსსამუშაოში ჩართული ადამიანების სრული უმრავლესობა ტრანსგენდერი ქალი ან ტრანსფემინური ადამიანია. მხოლოდ 2 ტრანსგენდერი მამაკაცია ტექნოლოგიების სფეროში, დანარჩენებს ორგანიზაციის და მომსახურების სფეროს შეთავსება უწევთ ან მხოლოდ მომსახურების სფეროში მუშაობენ.

განათლება

ტრანსგენდერი ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობას კომპლექსურად უნდა შევხედოთ და ამ პროცესში მონაწილე ფაქტორები გავითვალისწინოთ სრული სურათისათვის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების ტენდენციები პირდაპირ კავშირშია განათლებასთან, ბავშვობაში განცდილ ძალადობასთან სკოლასა და ოჯახში. გამოკითხულთაგან მხოლოდ ხუთმა გააგრძელა უნივერსიტეტში სწავლა და არცერთი მათგანი იმ ეტაპზე დაქამინგაუთებული არ იყო. უნივერსიტეტი თავისთავად სკოლასთან შედარებით უსაფრთხო სივრცედ მოიაზრება. თუ დღეს მოსახლეობის უმრავლესობისთვის განათლების და უნარების განვითარება პირდაპირ კავშირშია ოჯახის სიღარიბესთან და შემდგომ განათლების ვერმიღების შედეგად სოციალურ კიბეზე სტაგნაციასთან, ძნელია, ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში ეს ცალსახად მხოლოდ ეკონომიკურ მიზეზებს (მაგ. ოჯახის სიღარიბეს) მივაწეროთ. უფრო უკეთესი წარმოდგენა გვექმნება თუ ტრანსგენდერი ბავშვებისა და მოზარდების გამოცდილებას შევხედავთ. ტრანსგენდერი ადამიანების დიდი ნაწილი ადრეული ასაკიდანვე ავლენს გენდერულად არაკონფორმულ ქცევას. სკოლაში ძალადობას რესპონდენტები საკუთარ გენდერულ გამოხატვას უკავშირებენ. ტრანსგენდერი კაცები სკოლაში ფიზიკური ძალადობის გამოცდილებაზე არ მიუთითებენ. თუმცა დანარჩენ რესპონდენტებს შორის 6 ხშირად ან ყოველთვის ყოფილა ძალადობის მსხვერპლი კლასელი/სკოლელი ბიჭებისგან. რესპონდენტები საუბრობენ, რომ "ბავშვობიდან განსხვავებული იყვნენ" და ამ "განსხვავებულობის" გამო სხვადასხვანაირად ისჯებოდნენ. იმ ტრანსგენდერ ქალებსა და ტრანსფემინურ რესპონდენტებში, ვინც ბავშვობაში გენდერულად არაკონფორმული იყო, ხშირია ბულინგის და ფიზიკური ძალადობის გამოცდილება. გენდერული გამოხატვის ნიადაგზე ბულინგის გამოცდილება ყველას ჰქონია, გარდა 3 რესპონდენტისა. ერთ-ერთი ტრანსგენდერი ქალი გვეუბნება:

"განსხვავებული რო ვიყავი ისედაც მიჭირდა მორგება და სწავლა ვერ გავაგრძელე, ერთი სული მქონდა [სკოლა] მორჩენილიყო. უნივერსიტეტშიც მაგიტომ აღარ გავაგრძელე".

ვინაიდან სკოლაში ისედაც არ არსებობს ბულინგის აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმები, ტრანსფობიური დამოკიდებულება მასწავლებლებისა და მანდატურების მხრიდან ბულინგის უგულებელყოფაში შეიძლება გამოიხატოს. შესაბამისად, გენდერულად არაკონფორმული ბავშვები ხშირად წყვეტენ სკოლაში სიარულს და უმრავლესობა არ აგრძელებს უნივერსიტეტს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებსაც. თუ ამ ყველაფერს ოჯახის სიღარიბე ან მშობლების მხრიდან მათი სახლიდან გაგდება ან ძალადობა ემატება, სიტუაცია კიდევ უფრო მწვავდება.

დასაქმება

განათლებაზე ხელმისაწვდომობის მსგავსად, დასაქმება ზოგადად წარმოადგენს ქვეყნის პრობლემას. საქართველოს შრომის კოდექსი მხოლოდ 20 ლარით განსაზღვრავს მინიმალურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, სრულ თავისუფლებას ანიჭებს კერძო სექტორს საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში, ხოლო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა პრაქტიკაში მთავარ დამსაქმებელს - ბიზნესს - მხოლოდ რეკომენდაციებს უპირისპირებს. ამის პარალელურად კი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა რესურსების სიმწირეს ქმნის, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება რამე ნიშნით დისკრიმინირებულ და მარგინალიზებულ ჯგუფებზე.

აირის მერიონ იანგი ჩაგვრის 5 ძირითად ფორმაზე საუბრისას ერთმანეთისგან განასხვავებს "ექსპლუატაციას", "უძალობას" და "მარგინალიზაციას." თუ პირველი ადამიანის შრომის შედეგების მისაკუთრებას მიემართება, მეორე კი ცოდნის არქონის შედეგად ძალაუფლების არქონას, მარგინალიზაცია ადამიანს სრულიად გამორიყავს შრომითი ბაზრიდან (იანგი, 2009). ერთ-ერთი ტრანსგენდერი ქალის მონათხრობი ამის ნათელი მაგალითია:

"3 თვის წინ პრომო გოგოდ მინდოდა მუშაობა და გასაუბრებაზე დამიბარეს. მისვლამდე დავურეკე; რომ ვუთხარი ტრანსი ვარ-მეთქი, გამლანძღეს, აქ აღარ გაბედო დარეკვაო. იმდენად დამცირებულად ვიგრძენი თავი, რომ ვერ მივმართავდი ვერავის."

პრომო გოგონას სამუშაო, რომელიც უკვე ისედაცაა დაბალანაზღაურებადი, გამორიცხავს ტრანსგენდერ ქალს. განათლების არქონა კი უძალობის მდგომარეობაში აგდებს ადამიანებს, რაც მათ თვითაღქმასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება. "უმწეობისა და სასოწარკვეთის" განცდა საკმაოდ ხშირია რესპონდენტებში და ძირითად მიზეზად სწორედ ეკონომიკური მდგომარეობა და არასტაბილურობა სახელდება.

შედეგად, მონაწილეებს შორის ტრანსგენდერი ქალების სრული უმრავლესობისთვის შემოსავლის წყარო სექსსამუშაოა, დანარჩენები კი მომსახურების სფეროსა ან არასამთავრობო ორგანიზაციებში არიან დასაქმებული, ან საერთოდ არ აქვთ ანაზღაურებადი სამუშაო. ყველას აქვს რაღაც დისკრიმინაციული გამოცდილება დასაქმებასთან მიმართებაში გამოვლილი, გარდა 2 (არასამთავრობოში დასაქმებული) რესპონდენტისა. ქამინგაუთის და სამსახურის დაკარგვის შიში ხშირად სამსახურში ნეგატიური განწყობების ატანას აიძულებს ტრანსგენდერ ადამიანებს, სამსახურში დისკრიმინაციის შემთხვევებიც სასამართლომდე ვერ აღწევს და საერთოდ არ

ხმაურდება". ერთი ტრანს კაცი გვეუბნება, რომ სამსახურში ქამინგაუთის შემდეგ უფრო მეტხანს აჩერებენ და მეტს მოითხოვენ მისგან. "სექსისტური კომენტარებიც ყოფილა, მაგალითად ქალი ხარ და თუ გაქაჩავ," - ამბობს ის. ეს უკანასკნელი პირდაპირი ტრანსფობია და დისკრიმინაციაა, თუმცა უძალობის პირობებში გამოკითხულთა სრული უმრავლესობა დუმს.

ადამიანების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი, როგორც წესი, მშობლების სოციალური მდგომარეობაა. თუმცა ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში ეს ტენდენცია მხოლოდ მათ საწინააღმდეგოდ მუშაობს. სიღარიბე და საცხოვრებლის არქონა ტრანსგენდერ ადამიანებს იმთავითვე უზღუდავს ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებს. მაგალითად, ორი მათგანი გვიყვება ქუჩაში ცხოვრების გამოცდილებაზე ბავშვობაში, რის შედეგადაც წერა-კითხვის უნარები მოზარდობამდე ვერ გამოიმუშავეს. სიღარიბე ბავშვობაში ასევე კავშირშია სექსსამუშაოში არასრულწლოვანების ჩართვასთან, სამართალდამცავებთან პრობლემებსა და ნივთიერებების მოხმარებასთან. მაგალითად, ერთი რესპონდენტი გვიყვება, რომ ნარკოდამოკიდებული მოზარდობის ასაკიდან გახდა და მხოლოდ 34 წლის ასაკში მეგობრის დახმარებით შეძლო "ქუჩისთვის და ნარკოტიკებისთვის თავის დაღწევა". მეორე გვიამბობს, როგორ უწევდა ვიღაცის კერძო მიწიდან მავთულების ამოღება, რათა ჩაებარებინა და ოჯახის გამოსაკვები ფული მოეგროვებინა. *"20 ლარზე მეტი არ ეღირებოდა [მოპარული მავთულები], მაგრამ პოლიციამ 150 ლარი ჩაწერა, რომ ციხეში გავეშვი, არადა იცოდა უბნის ინსპექტორმა როგორ მიჭირდა"*, - ჰყვება რესპონდენტი, რომელიც ამავდროულად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელიცაა. ამგვარად, ტრანსფობიური ნიშნით დისკრიმინაცია არაა მხოლოდ ერთადერთი, რომელსაც რესპონდენტები განიცდიან. სხვა მარგინალიზებულ ჯგუფთან მიკუთვნებულობა (მაგ. როგორც თვითონ ამბობენ "არაქართული გარეგნობა") და მშობლების სიღარიბე ტრანსგენდერ ადამიანებს რამდენიმე ფორმის ჩაგვრას უქვემდებარებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

საცხოვრებელი

ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი საცხოვრებლის ქონაა. საცხოვრებლის პრობლემა ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება ტრანსთემისთვის. უმრავლესობა არ ფლობს სახლს, რომელშიც ცხოვრობს. მხოლოდ 1 რესპონდენტი ცხოვრობს მარტო საკუთარ სახლში. 5 მშობლებთან ერთად ცხოვრობს, ხოლო დანარჩენები სხვა თემის წევრებთან ერთად ან 1 შემთხვევაში მარტო ნაქირავებში, მეგობრის სახლში ან კომუნალურ თავშესაფარში. ყველა, ვინც არ ფლობს სახლს, საუბრობს საცხოვრებლის პოვნის პრობლემაზე, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით იჩენს ხოლმე თავს. "სხვას ვაქირავებინე, თორემ მე არ მომაქირავებდნენ," "ქირაობისას ვმალავ, რომ ტრანსი ვარ", "როცა მეზობლებმა ჩემი ფოტოები ნახეს, დამხვდნენ და სახლში არ მიშვებდნენ, აქ აღარ მოხვიდეო", "სახლთან დამხვდნენ უბნის

ბიჭები, მე გამომწვევად მეცვა და დამიწყეს, ასე რატომ გაცვიაო, ისე შემეშინდა სახლში რომ ავედი, დამამშვიდებელი დავლიე," - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ძალადობრივი გამოცდილებებისა, რომლებსაც ტრანსგენდერი ადამიანები საცხოვრებლის პოვნისას ან შენარჩუნებისას აწყდებიან.

რაც შეეხება მათ, ვინც მშობლებთან ერთად ცხოვრობს, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად მხოლოდ დედასთან აქვთ ქამინგაუთი გაკეთებული ან მალავენ ოჯახის წევრებთან საკუთარ იდენტობას. სახლიდან წამოსვლის პირდაპირი თუ ირიბი მიზეზიც ხშირად სწორედ მშობლებთან არსებული დაპირისპირება ან ამ დაპირისპირების შიშია. ერთ-ერთი რესპონდენტი გვიყვება, რომ ოჯახის წევრმა მისი მესიჯები წაიკითხა, რითაც მისი იდენტობის გამჟღავნების საფრთხე შეიქმნა. სტრესის ფონზე "თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობდი", - ამბობს ის. 6 რესპონდენტი მუდმივად ან ხშირად ყოფილა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. აქაც ტრანსფემინური გამოხატვის რესპონდენტებს უფრო მეტად აქვთ მსგავსი გამოცდილება, რაც საზოგადოებაში არსებულ გენდერული როლების იერარქიასთან შეიძლება, დავაკავშიროთ. "ქალობა" და "ქალური გამოხატვა" ბევრად უფრო სტიგმატიზებულია, ვიდრე - პირიქით. შესაბამისად, ტრანსმასკულინური გამოხატვის რესპონდენტები უფრო ნაკლებ თვალშისაცემი არიან, რადგან მაგალითად, კაბის ჩაცმა ბიჭისთვის სოციალურად ბევრად უფრო სტიგმატიზებული ქმედებაა, ვიდრე - შარვლის ჩაცმა გოგოებად მონიშნული სხეულებისთვის. შესაბამისად, ტრანსგენდერი ქალებისა და ტრანსფემინური ადამიანების უმრავლესობა სახლიდან მოდის, პირდაპირი ფიზიკური და ვერბალური ძალადობის გამოცდილებაზე საუბრობს როგორც სახლში, ისე - სკოლასა და ქუჩაში. შედეგად, ერთი შეხედვით, ტრანსგენდერ ქალებში საცხოვრებლის პრობლემა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე - ტრანსგენდერ კაცებსა და ტრანსმასკულინურ ადამიანებში.

ამრიგად, ეკონომიკური ჩაგვრა მრავალმხრივ ვლინდება და კვლავიწარმოება დასაქმების, განათლებისა და საცხოვრებლის შეზღუდულ შესაძლებლობებში. შესაბამისად, მისი განხილვა აუცილებელია ამ ჩაგვრის შემანარჩუნებელი უფრო დიდი სისტემების კონტექსტში. მიუხედავად სისტემური პრობლემებისა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები ასევე საუბრობენ, როგორ გაძლიერდნენ სხვა ტრანსგენდერ ადამიანებთან შეხვედრის ან არასამთავრობო ორგანიზაციებში მოხვედრის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თემში ძალადობა ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა და 7 რესპონდენტს რამე ფორმის ვერბალური ძალადობის (ძირითადად, მუქარის) და ქამინგაუთის შანტაჟის გამოცდილება აქვს, თემის წევრების მხრიდან მხარდაჭერის ბევრი შემთხვევაც ფიქსირდება. ეს მხარდაჭერა ონლაინ ბულინგთან გამკლავებისას ცხადად ჩანს სხვადასხვა ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ტრანსფობიური კომენტარების დროს. ასევე ხშირია ერთმანეთისთვის თანხის შეგროვება და ერთმანეთის შეფარება საცხოვრებლის არქონისას. როგორც თვითორგანიზება, ისე ძალადობა

უფრო მეტად ტრანსი ქალებისა და ტრანსფემინური სუბიექტების გამოცდილებაში იკვეთება, რაც მჭიდრო კავშირშია სექსსამუშაოსთან. შემდეგ თავს სწორედ ამ საკითხს დავუთმობ.

სექსსამუშაო

გამოკითხული ქალებიდან და ტრანსფემინური ტრანსებიდან ყველა რესპონდენტი და ერთი ტრანსგენდერი კაცი რაღაც ეტაპზე ყოფილა სექსსამუშაოში ჩართული (13 ადამიანი). სექსსამუშაო იმდენად მჭიდროდ ასოცირდება ტრანსფემინურ გამოხატვასთან, რომ მას თემში "ტრანსობას" უწოდებენ. სექსსამუშაოში ჩართვის ძირითადი მიზეზები ეკონომიკურია. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ პირველი შეხება ამ სფეროსთან "შემთხვევით" ნაცნობების, მეგობრების გაცნობით ხდება. **საგანგაშოდ დაბალია სექსსამუშაოში ჩართვის ასაკი.** გამოკითხულთა ნახევარი ამ საქმეში არასრულწლოვანი, 13-17 წლის ასაკში ერთვება. ჩართვა კი საკონტაქტო პირის მეშვეობით ხდება. "მეგობართან გართობის მიზნით დაიწყო, მერე ფინანსური დაინტერესება მოჰყვა და შემოსავლის წყაროდ იქცა". კლიენტების მოძიება ძირითადად პლეშკაზე და ონლაინ ხდება. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის არასრულწლოვანებს, ვინაიდან კლიენტის საპოვნელად უკვე შუამავალი აღარ არის საჭირო.

ეკონომიკური მიზეზი მკვეთრად გამოხატულია სექსსამუშაოში ჩართვის და დარჩენის თვალსაზრისით. უკლებლივ ყველა სექსსამუშაოში ჩართული რესპონდენტი საუბრობს გარკვეულ ეკონომიკურ იძულებაზე, ვინაიდან სხვა სამსახურში ვერ საქმდებიან და სექსსამუშაო გადარჩენის ერთადერთი გზაა. ასევე ყველა მათგანს აქვს სურვილი, რომ ჩამოშორდეს სფეროს თუ ანალოგიურად შემოსავლიან სამსახურში დასაქმდება. დარჩენის წამყვანი მიზეზი სწორედ სხვა სამუშაოებთან შედარებით მაღალი ანაზღაურებაა. “400 ლარზე ვერ ვიმუშავებ, ქირასაც ვერ გადავიხდი ეგრე. სხვა სამსახურის ძიება არ მიცდია, იდენტობის გამო”, - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. ეს სივრცე “პლეშკაზე” არსებული კონკურენციიდან გამომდინარე ასევე ძალიან ძალადობრივია ერთმანეთის მიმართაც. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი გვეუბნება, რომ როცა სექსსამუშაოში ჩაერთო, მის მიმართ მუდმივი ფიზიკური და ვერბალური ძალადობა იყო და ისიც “მიდიოდა და მაინც ბრუნდებოდა.” ახლა თვითონაც ედავება ახალბედა სექსმუშაკებს და ამას კონკურენციით ამართლებს.

განსხვავებულია სიტუაციაა მათ შემთხვევაში, ვინც სექსსამუშაოს, როგორც ჰობის, ისე უყურებს. მათთვის სიამოვნება და დამატებითი შემოსავალია ძირითადი მოტივაცია. ეს უკანასკნელი ასევე მნიშვნელოვანია სექსსამუშაოს თეორიული კონცეპტუალიზაციისათვის და მას მომდევნო ქვეთავში განვავრცობ.

აღსანიშნავია, რომ დღეს სექსსამუშაო ძალიან ბევრი რისკის შემცველია. ის საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობაა, რომელიც ადმინისტრაციული ჯარიმით ისჯება, ხოლო სექსსამუშაოსთვის ხელშეწყობა და მისი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არა მხოლოდ სექსმუშაკებისთვის, არამედ ბინის გამქირავებლებისთვისაც ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 254), რაც კიდევ ერთი ინსტიტუციური დაბრკოლებაა სექსმუშაკი ტრანსგენდერი ქალებისთვის. გარდა კანონთან წინააღმდეგობისა და პოლიციის მხრიდან ძალადობრივი და დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა, ყველა რესპონდენტი საუბრობს "პლეშკაზე" მუდმივ თავდასხმებზე და პერიოდულად კლიენტების მხრიდან ძალადობაზე. მიუხედავად „პლეშკაზე" არსებული ძალადობრივი გარემოსი და შიდა დაპირისპირებებისა, ხშირად გვხვდება ძალადობასთან ჯგუფურად გამკლავებისა და ურთიერთზრუნვის პრაქტიკებიც. კითხვაზე, თუ რომელი ადგილია ყველაზე უსაფრთხო, სექსმუშაკები ერთხმად ასახელებენ ბინაში მეგობრებთან/კოლეგებთან ერთად მუშაობას. ხოლო ინსტიტუციური და საკანონმდებლო თვალსაზრისით ცალსახად უპირველესი გამოწვევა სექსმუშაკებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რის მისაღწევადაც რესპონდენტებმა სამი ძირითადი გამოსავალი დაასახელეს: 1. პოლიციის მხრიდან ადეკვატური რეაგირება; 2. სექსსამუშაოს დეკრიმინალიზება; 3. სექსსამუშაოს ლეგალიზება.

პოლიციის მხრიდან შედარებით მეგობრულ მიდგომას ძველი თბილისის VII განყოფილებიდან იღებენ ხოლმე, თუმცა კონკრეტული პოლიციელების კეთილგანწყობაზე დამოკიდებულება სტაბილური უსაფრთხოების განცდას არ აძლევთ. არასამთავრობო სექტორის მცდელობები უმცირესობებთან დაკავშირებული დანაშაულების გამოსაძიებელი სპეციალური დანაყოფის შესაქმნელად კი ჯერაც უშედეგოა. რაც შეეხება სექსსამუშაოს დეკრიმინალიზების და ლეგალიზების საკითხს, მას შემდგომ ქვეთავში განვავრცობ.

სექსსამუშაოს კონცეპტუალიზება

სექსსამუშაოს შესახებ დისკუსია და კვლევა საქართველოში ძალიან მწირია. არ არსებობს სექსმუშაკების აქტივიზმი და არც რამე ერთიანი აქტივისტური ხედვა სექსსამუშაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და სტიგმის პრობლემების გადასაჭრელად. რესპონდენტებს შორის სექსსამუშაოს სამი აქტივისტია, რომელთაც საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული ცოდნა და სექსსამუშაოსთან მიმართებაში ინფორმირებული პოზიციები აქვთ. სექსსამუშაოს სამივე შრომად და საქმედ აღიქვამს, რომელიც აღიარებას საჭიროებს, თუმცა კანონის შესახებ მათი შეხედულებები განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ ორი თვლის, რომ უნდა ლეგალიზდეს და ამის მიზეზად სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და სექსმუშაკებზე ძალადობის კლებას ასახელებენ, მესამე რესპონდენტის აზრით, სექსსამუშაოს დეკრიმინალიზება უფრო

კარგი გამოსავალია, რადგან ლეგალიზება სახელმწიფოს მხრიდან მეტ კონტროლს დააწესებს სექსმუშაკებზე, ხოლო ემიგრანტ სექსმუშაკებს მაინც კანონს მიღმა დატოვებს.

გარდა ზემოხსენებული სამი აქტივისტისა, რესპონდენტებმა, როგორც წესი, არ იციან სექსსამუშაოს შესახებ კანონმდებლობა, თუმცა იციან, პრაქტიკაში რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეთ. შესაბამისად, სექსსამუშაოს მიმართ დამოკიდებულებების არტიკულირებაც გართულებულია. ზოგიერთი ემხრობა ლეგალიზებას, ვინაიდან ეს დაავადებების კონტროლთან ასოცირდება, თუმცა ეს ნარატივი არც ინფორმირებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და სექსმუშაკების რეალურ ინტერესს შეიძლება, უპირისპირდებოდეს კიდეც. ამ მიმართულებით მეტი კვლევა და სექსმუშაკებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო.

მიუხედავად ამისა, შეგვიძლია, სამ ძირითად ტენდენციაზე ვისაუბროთ: 1. სექსსამუშაო დისკურსის დონეზე რესპონდენტებისთვის თვითსტიგმატიზებასთანაა კავშირში, მაგალითად, ერთი რესპონდენტი ამბობს: *"რა სასიამოვნოა მამის ტოლა კაცთან რომ გიწევს დაწოლა, თან რო გეტყვის ქალთან სექსი მაინც ჯობიაო."* სექსსამუშაო "არანორმატიული" სექსუალობის კატეგორიაში ვარდება, მასზე საუბარიც ხშირად სირცხვილს იწვევს; 2. ამის პარალელურად, სექსსამუშაო და ის ადგილები, სადაც ეს სამუშაო სრულდება, და ტრანს სექსმუშაკებთან აფილაცია "ქალობის" გამოვლენის ასპარეზია. "სულ მინდოდა, რომ კაბა მცმოდა", - ამბობს ოთხი სექსმუშაკი პლეშკაზე გასვლის მოტივებზე საუბრისას. ვინაიდან ტრანსგენდერი ადამიანებისადმი მეგობრული სივრცეების ნაკლებობაა, "პლეშკა" ფემინური თვითგამოხატვის ერთადერთი ადგილია, რომელიც, მართალია, ბევრ რისკთან ასოცირდება, თუმცა ასევე ტრანსგენდერი ქალებისადმი მიკუთნებულობის განცდას იძლევა; 3. სექსსამუშაოს ექსპლიციტურად მხოლოდ აქტივისტები უყურებენ, როგორც სამუშაოს, თუმცა იმპლიციტურად სხვა სექსმუშაკებიც სამუშაოდ თვლიან. როგორც ნებისმიერი სამუშაო, ის გარკვეულ რუტინას, წესებს, მომსახურებების განთვასებას, ქცევის კოდექსს, ემოციურ მიმართებას მოიცავს. სხვა სამსახურებისგან მას ის განასხვავებს, რომ სექსსამუშაოში ეს ყოველივე თვითრეგულირებადია, არანაირ გაწერილ ფორმალურ კონტრაქტს არ ექვემდებარება და საზოგადოებრივი სტიგმის გამო დიდ ფიზიკურ რისკებთან ასოცირდება.

რაც შეეხება მის აღქმას, ერთი მხრივ, რესპონდენტები სექსსამუშაოს ემოციურ და ფიზიკურ დამღლელობაზე მიუთითებენ და როგორც სამსახურზე, ისე საუბრობენ, თუმცა ამავდროულად მას "მუქთა ფულს" უწოდებენ. ეს ყველაფერი პერიოდულად მეორდება რესპონდენტების ნარატივში და თანაარსებობს. საგულისხმოა ასევე იმ რესპონდენტების მოტივაცია, რომლებიც სექსსამუშაოს თავის შესაქცევად და სიამოვნების და ადვილად ფულის შოვნის საშუალებად განიხილავენ. მათთვის სექსსამუშაო არ არის ეკონომიკური იძულება, თუმცა ყველა მათგანი

მიუთითებს სხვა დამატებით პოზიტიურ ასპექტებზე ეკონომიკური შემოსავლის გარდა. მიდგომების მრავალფეროვნება ავლენს სექსსამუშაოს კომპლექსური ახსნის საჭიროებას.

ამის საპირისპიროდ ფემინისტების დამოკიდებულება ხშირად ემთხვევა საზოგადოებაში გავრცელებულ ნეგატიურ განწყობას სექსსამუშაოს მიმართ. თუმცა, ამავ დროს, სექსსამუშაო პატრიარქატის და არა მხოლოდ პატრიარქატის, ზოგადად ჰეტეროსექსისტური სისტემების მიერაა სტიგმატიზებული და კანონს და დასაშვებს მიღმა მოქცეული. "მაშინ ამ სფეროში მომუშავე ქალი, გარკვეული აზრით, კონფორმულიც შეიძლება იყოს პატრიარქატის მიმართ და, გარკვეული აზრით – არაკონფორმულიც. და თუ შევეცდებით, აგენტობა ძალაუფლებრივ სოციალურ ნორმებთან წინააღმდეგობის ფორმად მოვიხელთოთ (Mahmood: 2005), შევძლებთ, თბილისელი სექსმუშაკის სამსახური და საქმიანობა აგენტურობის ინტენსიურ გამოვლინებად დავინახოთ" (ჩუბინიძე & ჭაუჭიძე, 2017).

ამგვარი მიდგომა სექსსამუშაოსადმი ამ სფეროში ჩართულ ადამიანებს ვულგარული არჩევანი-იძულების დიქოტომიის მიღმა განიხილავს და მოტივებისა და ჩართული ადამიანების მრავალფეროვან გამოცდილებებს აღიარებს. თუმცა, აუცილებელია, არ დავივიწყოთ, რომ ამ სფეროში არსებობს ძალადობის, პირდაპირი იძულების, არასრულწლოვანების ჩართვისა და ეკონომიკური მიზეზების გამო ეკონომიკური იძულების ძალიან დიდი საფრთხეები. ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებებმა უკანასკნელი ორი პრობლემა და ფიზიკური საფრთხეები ნათელჰყო. შესაბამისად, პოლიტიკის დაგეგმვა სწორედ ეკონომიკურ გაძლიერებას და სექსსამუშაოსთვის მაქსიმალურად უსაფრთხო პირობების შექმნას შეიძლება, გულისხმობდეს. პირველ ეტაპზე ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად პოლიციელებთან მუშაობა, სექსმუშაკების უკეთესი ინფორმირება და სექსსამუშაოს დეკრიმინალიზება უნდა მოვიაზროთ. განსხვავებით ლეგალიზებისგან, რომელზე შეთანხმებაც ბევრად უფრო რთულია და ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებას საჭიროებს, დეკრიმინალიზება დისკურსულ დონეზე მნიშვნელოვანი განაცხადია და სექსსამუშაოში ჩართული ადამიანების აღიარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

ჯანდაცვა

ტრანსსაჭიროებებზე საუბრისას ჯანდაცვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც პირდაპირ ბმაშია ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ტრანსფობიურ ძალადობასთან. ვიდრე კვლევის შედეგების ანალიზზე გადავალთ, ყურადღება საქართველოში არსებულ ზოგად ჯანდაცვის სიტუაციაზე უნდა გავამახვილოთ, რათა უკეთ გავიაზროთ, რა

კონტექსტში ჩნდება ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც დღეს ტრანსგენდერ ადამიანებს აქვთ.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯანდაცვის სისტემა დიდწილად პრივატიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ საავადმყოფოების უმრავლესობა კერძო საკუთრებაშია. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან კერძო სექტორში ერთიანი სტანდარტებისა და ვალდებულებების გატარება ზოგადად უფრო რთულია, ვიდრე - სახელმწიფო დაწესებულებებში. ამის პარალელურად მუშაობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო ნაკლებ მომსახურებას ფარავს, თუმცა თითქმის სრულად ფარავს გადაუდებელი პროცედურების უმრავლესობას.

რაც შეეხება ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვას, არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რომელიც მას დაარეგულირებდა და ტრანსჯანდაცვა ფაქტობრივად გარკვეული კლინიკებისა და ცალკეული სპეციალისტების კეთილ ნებასაა მინდობილი (WISG,2017). სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება, მიუხედავად არასამთავრობო სექტორის მხრიდან მრავალი რეკომენდაციისა, ასევე დღემდე მიუღწეველ გამოწვევად რჩება და ტრანსგენდერ ადამიანებს სქესის კვლავმინიჭების იძულებით ოპერაციას უქვემდებარებს. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე აღინიშნა, ტრანზიციისთვის სამედიცინო სტანდარტების არარსებობის პირობებში ერთგვარ მანკიერ წრეს კრავს მათთვის, ვისაც ამ პროცედურის გავლა უნდა. გარდა ამისა, პროცედურის სიძვირიდან გამომდინარე (ის დაახლოებით 10000$ ჯდება) ის არც ხელმისაწვდომია და ზოგადად ჯანმრთელობისთვის რიგ რისკებს შეიცავს. თუმცა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტი ის არის, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ტრანსგენდერ ადამიანების რაღაც ნაწილს სულაც არ სურს სრული ტრანზიციის ან/და ოპერაციის გავლა.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სისტემაში მკვეთრად გამოხატულ ინსტიტუციონიზებულ ტრანსფობიას ვაწყდებით, რომელიც პრივატიზებული ჯანდაცვის სისტემით და ეკონომიკური უთანასწორობით კიდევ უფრო აუარესებს ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობას. შესამაბისად, გასაკვირი არ არის, რომ ექიმებთან მიმართებაში ნეგატიური გამოცდილება ჰქონია ყველა რესპონდენტს. საუბრობენ ექიმების მხრიდან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე; ზოგს უარიც ეთქვა მომსახურებაზე გენდერული იდენტობის გამო. ის ადამიანები, რომელთაც აივი, სიფილისი ან რამე სხვა დაავადება აქვთ, აწყდებიან ორმაგ დისკრიმინაციას, როგორც ტრანსგენდერები და როგორც ინფიცირებულები. აივის და ცე ჰეპატიტის მკურნალობა უფასოა, დისკრიმინაცია არაპირდაპირ ფორმებში უფრო ვლინდება. მაგ. ერთი რესპონდენტი ჰყვება, როგორ ეთქვა უარი ცხვირის ოპერაციაზე ერთ-ერთი ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ აივ სტატუსის გამო. ერთეულ შემთხვევებში უარი ეთქვათ სპეციფიკურად გენდერული გამოხატვის გამო, მაგ. მამოლოგმა არ გასინჯა ტრანსგენდერი კაცი და მისი

არგუმენტი იყო, რომ მისი პაციენტი არ იყო. ზოგადი ჯანდაცვის საჭიროებების დაკმაყოფილებაში წამყვანია ეკონომიკური მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის რესპონდენტებს მნიშვნელოვანი სამედიცინო მომსახურების მიღებაში. ყველა რესპონდენტს ჰქონია უსახსრობის გამო სამედიცინო მომსახურების ვერმიღების გამოცდილება.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვა

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები (სგგდ) და რეპროდუქციული ჯანმრთელობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტრანსჯანდაცვის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ამ მხრივ მძიმე სიტუაციაა ქვეყანაში და გამონაკლისს არც ტრანსგენდერი თემი წარმოადგენს. ძალიან მწირია ინფორმაცია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, ამ ტიპის სერვისებს კი საყოველთაო დაზღვევა არ ფარავს; ასევე მაღალია დაავადებების შესახებ სტიგმა და თანმხლები სტრესი. აივ-ის მქონე ან/და რომელიმე სქესობრივი გზით გადამდები დაავადების გამოცდილების მქონე ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამედიცინო პერსონალის ან/და თემის წევრების მხრიდან დისკრიმინაციული, დამცინავი და აგდებული დამოკიდებულების მსხვერპლნი ყოფილან, რაც ნეგატიურად აისახება მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ერთ შემთხვევაში კი სუიციდური აზრების მიზეზიც კი გამხდარა.

ვინაიდან სექსსამუშაო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ამ სფეროში დასაქმებულებს მოწყვლადს ხდის სგგდ-სადმი, აივის, ცე და ბე ჰეპატიტის შესახებ ინფორმირებულების დონე საკმაოდ მაღალია, თუმცა პრევენციულ ზომებს პრაქტიკაში მხოლოდ აივ-ზე მიმართავენ. საჭიროა მეტი ინფორმაციის მიწოდება ცე, ბე ჰეპატიტის, სიფილისის და სხვა დაავადებების შესახებ და მეტი უფასო ტესტირების შეთავაზება. ამის გარდა ძალიან კარგი იქნებოდა, აივის თვითდახმარების ჯგუფის არსებობა თვითსტიგმის დასაძლევად და გამოცდილებების გასაზიარებლად, ვინაიდან თვითონ თემის შიგნით ძალიან მაღალია ურთიერთდისკრიმინაცია და დაბალი თვითშეფასება აივ-ის გამო.

გარდა სგგდ-სა, სექსსამუშაო, როგორც გართობისა და მომსახურების სფერო, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მაღალ რისკს შეიცავს. სექსმუშაკების უმრავლესობა ამბობს, რომ ხშირად სვამს ან სვამდა სამსახურიდან გამომდინარე, თუმცა ალკოჰოლიზმის პრობლემაზე არცერთი არ მიუთითებს. ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება როგორც პირდაპირ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას, ისე ირიბად კავშირშია სგგდ-სთან. თუმცა, ამ თემებს წინამდებარე კვლევა სიღრმისეულად ვერ ფარავს და ცალკე სჭირდება შესწავლა დროში გახანგრძლივებული ჩართული დაკვირვების მეთოდით.

მეორე მხრივ, ტრანსგენდერი კაცების შემთხვევაში კარგი იქნებოდა რეპროდუქციულ საკითხებზე საუბარი. ვინაიდან ზოგადი დამოკიდებულება საქართველოში ტაბუს ადებს აღნიშნულ საკითხებს, გინეკოლოგების დამოკიდებულება სისგენდერი ქალების მიმართაც ხშირად დისკრიმინაციულია, ხოლო ტრანსგენდერი კაცების მიმართ განსაკუთრებით პრობლემური. ტრანსფობიას, სექსიზმსა და ეკონომიკური სიდუხჭირეს ემატება თვითსტიგმა. ვინაიდან რეპროდუქციული ფუნქცია "ქალობის" ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტად მიიჩნევა, ტრანსგენდერი კაცებისთვის ემოციურად ნეგატიური გამოცდილებაა ამ პროცედურის გავლა.

ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობას (12) უნდა შვილის ყოლა, თუმცა არ უნდათ ბუნებრივი გზით ჩასახვა ან/და გაჩენა, ხოლო ხელოვნური განაყოფიერების საშუალება არ აქვთ, არც პარტნიორთან ერთად ყოლის შესაძლებლობა კანონმდებლობიდან გამომდინარე (ვინაიდან თითქმის ყველა ტრანსგენდერი მათთვის დაბადებისას მინიჭებული სქესის პარტნიორს მოიაზრებს). შესაბამისად მშობლობის და შვილის ყოლის უფლება პარტნიორობის და ქორწინების უფლების არქონის გამო არაპირდაპირ ეზღუდებათ ტრანსგენდერ ადამიანებსაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იმავე სქესის პარტნიორების მიერ სამოქალაქო პარტნიორობის უფლება მხოლოდ ნაწილობრივ და მხოლოდ გარკვეული ნაწილისთვის შეამსუბუქებდა ამ პრობლემას. ამ საკითხს გენდერის სამართლებრივი აღიარების შესახებ დისკუსიისას დავუბრუნდებით, ახლა კი ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვა

ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სტანდარტების არარსებობასთან ერთად უდიდეს პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური სპეციალისტების სიმწირე. ჰორმონული თერაპია, რომელიც ტრანზიციისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ფაქტობრივად არცერთი ტრანსგენდერი ადამიანისთვის არ არის ლეგალურად ხელმისაწვდომი. ამასთან, 11 რესპონდენტს უნდა ჰორმონული თერაპიის მიღება, თუმცა აქედან მხოლოდ ერთი ახერხებს და ისიც შავ ბაზარზე ექიმის დანიშნულების გარეშე იძენს. ანალოგიურად ჰორმონული პრეპარატების შავ ბაზარზე მოპოვების გამოცდილება აქვს ორ რესპონდენტს. გვერდითი ეფექტების გამო ორივემ შეწყვიტა მიღება - “სულ მეძინებოდა, აგრესიულს მხდიდა”, - აზუსტებს ერთ-ერთი. მათთვის, ვისაც უნდა ჰორმონული თერაპიის გავლა და ვერ იღებს ამ მომსახურებას, ძირითადი დაბრკოლებები საკმარისი ინფორმაციის და ფულის არქონაა. ვისაც არ უნდა ან ორჭოფობს, ასევე ინფორმაციის არქონას და თერაპიასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის შესაძლო რისკებს ასახელებენ. ერთადერთი რესპონდენტი, რომელიც ექიმის დანიშნულებით იღებს ჰორმონებს, ინტერსექსია.

ანალოგიურად 11 ადამიანს აქვს მკერდის მოკვეთის ან გადიდების სურვილი. ვისაც არ უნდა, მას ან უკვე გაკეთებული აქვს, ან ისედაც აქვს ან არ აქვს მკერდი. აქაც ძირითადი დაბრკოლებები ფინანსების და ინფორმაციის არქონაა. შედარებით ნაკლებს - 7-ს უნდა სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია. დანარჩენები ასაკს, ოპერაციის ჯანმრთელობისადმი რისკებს ასახელებენ ან უბრალოდ არ სჭირდებათ ეს პროცედურა. ხოლო მათთვის, ვისაც ოპერაცია უნდა, მთავარი დაბრკოლება ეკონომიკური ფაქტორია. ზოგადად ტრანსსპეციფიკური პროცედურებისა და ოპერაციების სურვილი სექსსამუშაოში ჩართვის ერთ-ერთ მოტივატორსაც წარმოადგენს.

პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ტრანზიციისთვის საჭირო და სასურველ პროცედურებზე საუბრისას შინაგან და სოციალურ/გარეგან მიზეზებს ასახელებენ, მაგ.: "მინდა სრულყოფილ ქალს დავემსგავსო", "საკუთარ თავთან მინდა შესაბამისობაში მოსვლა," "დისფორია და საკუთარი თავის მიუღებლობა მაქვს". ამის პარალელურად გვხვდება მორგების, საზოგადოებაში ინტეგრაციის მოტივები: "მინდა ჩამოყალიბებულ ქალს ვგავდე, რომ არ დამწვან," "კლიენტების მოთხოვნიდან" (სექსმუშაკების შემთხვევაში), "ვიზუალური მიზეზებიდან" გამომდინარე. "ოჯახის შექმნა" ასევე სახელდება სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის მოტივაციად. ბუნებრივია, დაყოფა პირობითია, ვინაიდან ძნელია გაიმიჯნოს, სად იწყება სოციალურად კონსტრუირებული წარმოდგენები მისაღები გენდერული გამოხატვის შესახებ და სად - ადამიანების დისტრესი საკუთარი თვითაღქმის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რესპონდენტს უნდა, რამე სახის სამედიცინო ან/და კოსმეტიკური ჩარევა საკუთარ გარეგნობაში, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ გამოხატული დისფორიის და საკუთარ სხეულთან შეუსაბამობის (მათ შორის, თვითდესტრუქციული ქცევის) ტენდენციები ნაკლებად იკვეთება.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც ყველა რესპონდენტის შემთხვევაში (ერთის გარდა) ტრანსფობიასთან, აივ-ის სტიგმასთან, დისკრიმინაციასა და ძალადობასთან, ასევე ეკონომიკურ პრობლემებთან ძალიან მჭიდრო კავშირშია. სწორედ ეს მიზეზები სახელდება რესპონდენტების მიერ უბედურად ან/და უმწეოდ ყოფნის მიზეზად. 12 რესპონდენტს უფიქრია თვითმკვლელობაზე, ხოლო 9-ს უცდია კიდეც. მხოლოდ 6-ს მიუღია ექიმის დანიშნულებით დამამშვიდებელი საშუალებები, დანარჩენებს მხოლოდ მსუბუქი წამლები მიუღიათ ნერვიულობის ფონზე. აქვე აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ფსიქიატრის მომსახურებას არ ფარავს საყოველთაო დაზღვევა და არასამთავრობო ორგანიზაციებიც მხოლოდ იშვიათად სთავაზობენ, შესაბამისად, გარკვეულ სტიგმაზე შეიძლება საუბარი, რომელიც ამ მომსახურებისთვის თავის არიდებისკენ უბიძგებს რესპონდენტებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგადად საზოგადოებაში ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა როგორც განწყობების,

ისე პოლიტიკის დონეზე უგულებელყოფილია, საჭიროა, მინიმუმ ფინანსური ბარიერი მაინც მოიხსნას ადამიანებისთვის ამ მომსახურების საჭიროებისამებრ მისაღებად.

რაც შეეხება ფსიქოლოგის მომსახურებას, ეს უკანასკნელი ზოგადად ძალიან ძვირია, მაგრამ ვინაიდან სათემო ორგანიზაციები მას უფასოდ სთავაზობენ, მიმართვიანობაც საკმაოდ მაღალია და კმაყოფილების ხარისხიც. რესპონდენტები "კარგად" და "ძალიან კარგად" აფასებენ ფსიქოლოგების მომსახურებას ორგანიზაციებში, თუმცა, კარგი იქნება, ეს სერვისი სხვა რეგიონებზეც გავრცელდეს და სხვა ქალაქებშიც ხელმისაწვდომი იყოს.

როგორც ვხედავთ, ჯანდაცვის პრობლემებს შორის საჭირო მომსახურებების და პროცედურების სიძვირე, ექიმების არარსებობა და დისკრიმინაციული დამოკიდებულება, ზოგადად, ცოდნის ნაკლებობა წამყვანი პრობლემებია მიკრო დონეზე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ე.წ. ჭეშმარიტი ტრანსგენდერის ცნობის მიღებაც მხოლოდ ერთ სპეციალისტთან შეიძლება და მხოლოდ იმ ტრანსგენდერ ადამიანებზე ვრცელდება, ვინც ცალსახად ქალის ან კაცის იდენტობას ესწრაფვის. რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩანს, ამგვარი ცნობა გამოკითხულთა მხოლოდ ⅔-ისთვის არის რელევანტური. ამასთან, ისინიც, ვინც ერთი გენდერიდან მეორეზე ტრანზიციას ესწრაფვიან, ავტომატურად ყველა ჩამოთვლილი პროცედურის გავლის სურვილს არ გამოთქვამენ.

ეს უკანასკნელი მიგნება მნიშვნელოვანი გამოწვევაა სქესის და გენდერის კონცეპტუალიზებისთვის. შემდგომ ქვეთავში სწორედ ამ საკითხზე მინდა ვისაუბრო და გენდერის სამართლებრივი აღიარების შესახებ საქართველოში ტრანსგენდერი თემის ბრძოლის კონტექსტში განვიხილო.

გენდერის სამართლებრივი აღიარება

გენდერის სამართლებრივი აღიარება გულისხმობს ამჟამად საქართველოში არსებული სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის გაუქმებას და დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებას რესპონდენტების სურვილისამებრ მდედრობითიდან მამრობითზე ან პირიქით. არასამთავრობო სექტორი ამ საკითხს უკვე რამდენიმე წელია, ლობირებს, თუმცა - უშედეგოდ. სავალდებულო ოპერაციის გაუქმებას ემხრობა ყველა რესპონდენტი, ვისაც დოკუმენტში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება სურს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილების სურვილს მამრობითიდან მდედრობითზე ან პირიქით 6 რესპონდენტი გამოხატავს, 6 კი თვლის, რომ ან საერთოდ უნდა ამოიღონ ეს ჩანაწერი, ან მესამე ვარიანტი დაამატონ, 2 დარწმუნებული არ არის. დანარჩენებს არ უნდათ, ვინაიდან ამგვარი ცვლილების აზრს და საჭიროებას ვერ ხედავენ.

ზოგადად, ამ საკითხზე ინფორმაციის და დისკუსიის ნაკლებობას აღნიშნავენ. შესაბამისად, კარგი იქნებოდა გაფართოებული შეხვედრების მოწყობა, რომელიც მოიცავდა ტრანსგენდერ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ახლანდელი გადმოსახედიდან ტრანსთემი იმდენად მრავალფეროვანია, რომ სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების მიმართ ერთგვაროვანი არც დამოკიდებულებაა და არც კონსენსუსი არსებობს.

ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, დღევანდელი ბრძოლა სავალდებულო ოპერაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ძალიან ბევრ ადამიანს შეუმსუბუქებდა ცხოვრებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას. “მინდა რომ დავსაქმდე,” “მინდა, რომ ჩემი პირადობის ამოღებისას ახსნა-განმარტების მიცემა არ მიწევდეს”, - ამბობენ რესპონდენტები. თუმცა, ამის პარალელურად ამგვარი ცვლილება მთელ ტრანსთემს არ ფარავს, ამიტომ აუცილებელია სქესის და გენდერის შესახებ დისკუსიის გაფართოება და ამ ცვლილების სარგებლიანობის უკეთესად გაცნობა ტრანსთემისთვის.

სერვისები და მათი მიღების ბარიერები

ვინაიდან ტრანსსაკითხების ლობირება და სერვისების მიწოდება ძირითადად არასამთავრობო სათემო ორგანიზაციების მიერ ხდება, აუცილებელია ამ მომსახურებების შეფასება. ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოვლინდა: 1. ინფორმაციის გავრცელების პრობლემა. ადამიანები ვერ იღებენ ინფორმაციას არსებული სერვისების, შეხვედრების, აქციების შესახებ; მაგ., ბევრმა არ იცის რომ არსებობს ომბუდსმენის 24 საათიანი ცხელი ხაზი და აქვთ მოლოდინი, რომ ორგანიზაციის ადვოკატები იმუშავებენ 24 საათიან რეჟიმში მორიგეობით; 2. დაპირისპირება და კონკურენცია სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის აისახება თემის წევრების შეფასებებზე. თვითონ თემს შიგნით არსებულ პრობლემებს ეს კონკურენცია უფრო მეტად ამწვავებს; 3. იმის მიუხედავად, თუ რა ურთიერთობა აქვს კონკრეტულ თანამშრომლებს სხვა ტრანსგენდერ ადამიანებთან, ტრანსგენდერი თანამშრომელი რესპონდენტებისთვის აღიქმება, როგორც "მათიანი" და უფრო ხელმისაწვდომს ქმნის მათთვის ამა თუ იმ ორგანიზაციის მომსახურებას.

რესპონდენტები სამედიცინო (განსაკუთრებით, ტრანსსპეციფიკური) ჯანდაცვის სპეციალისტების საჭიროებაზე მიუთითებენ. ექიმის ერთადერთი სერვისი, რომელსაც ახსენებენ, სექსოლოგის და ფსიქიატრის დახმარებაა, თუმცა ამ მომსახურებით ბევრი არ სარგებლობს. გამოვლინდა ენდოკრინოლოგის მომსახურების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ ამ სერვისის მიმწოდებლად

რესპონდენტები ორგანიზაციებს მოიაზრებენ და არა - სახელმწიფოს ან კლინიკებს. ეს ჯანდაცვის სისტემაში ზემოთ მოყვანილ ტრანსფობიის პრობლემას უნდა მივაწეროთ.

წამყვან და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ტრანსგენდერი ადამიანების არყოფნა და ზოგადად ტრანსგენდერი ადამიანების ნაკლებობა ორგანიზაციებში საკმაოდ ცხადი მოცემულობაა ყველა სათემო ორგანიზაციაში. დასაქმება ისედაც დიდ პრობლემას წარმოადგენს და ორგანიზაციებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მათი დასაქმებისთვის ორგანიზაციებმა მეტი უნდა გააკეთონ. მაგ., ხშირად მეორდება ბარის ან სოციალური საწარმოს საკითხი, სადაც დასაქმებას შეძლებდნენ.

კიდევ ერთი განმეორებადი საკითხი აივ/ცე/ბე ტესტირების დროს ან შემდეგ სტატუსის გავრცელებაა. აუცილებელია, უფრო კარგად დატრენინგდნენ სპეციალისტები. ვინაიდან, როგორც წესი, ის ადამიანები, ვინც ორგანიზაციებში ტესტირებას ატარებენ, ისევე, როგორც თვითონ ორგანიზაციები, რომელიც ამ სერვისს აწვდიან, არ წარმოადგენენ სპეციფიკურად ჯანდაცვის სპეციალისტებს, აუცილებელია, ორგანიზაციებში ბიოეთიკის შესახებ გარკვეული ტრენინგების ჩატარება. ასევე სასურველია, ორგანიზაციებმა შეიმუშავონ ერთიანი სტრატეგია აივის, ცე და ბე ჰეპატიტის ტესტების ადმინისტრირების შესახებ. ამ ეტაპზე არ არსებობს ერთიანი შეთანხმება და გაიდლაინები, ასევე სპეციალისტების ცოდნა ტესტირების ეთიკურ ასპექტებზე. განსაკუთრებით საგულისხმოა სტატუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მაღალი ალბათობა კლუბებსა და სხვა თავშეყრის ადგილებში ტესტების ადმინისტრირების დროს ან შემდეგ. შესაბამისად, აუცილებელია, გარკვეული შეთანხმება, წინასწარი ინფორმირება და ადმინისტრირებისას მხოლოდ ერთი ადამიანის დაშვება ტესტირებაზე!

საჭიროა ინფორმაციის უკეთ გავრცელება და უფრო ნათლად განსაზღვრა ორგანიზაციის თანამშრომლების როლების შესახებ; (ვინ რას აკეთებს, ვინაა მაგ. მოქმედი იურისტი და ვინ მუშაობს კვლევებზე); რა შეუძლია ორგანიზაციას, გასცეს (ბევრმა არ იცის, რა სახის ეკონომიკური პირველადი დახმარება შეუძლიათ, რომ მიიღონ ან მცდარად ჰგონიათ, რომ ორგანიზაციები ერთგვარ სოციალურ დახმარებას უნდა უნიშნავდნენ ან კოსმეტიკურ პროცედურებს უფინანსებდნენ).

საჭიროა სამედიცინო სერვისების მიწოდება და პოპულარიზება. საქართველოში პრევენციული მიზნით ექიმებთან სიარული ისედაც არაა გავრცელებული ფორმა. ამ მხრივ ცალსახად დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აუთრიჩი და სხვადასხვა გასართობ სივრცეებში შეღწევა.

როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოლოგის მომსახურება ძალიან პოპულარულია, თუმცა ვინაიდან ტრანსგენდერი ქალების დიდი ნაწილი სექსსამუშაოშია ჩართული და ღამე მუშაობს, აღნიშნავენ სერვისების მეტ მოქნილობას დროის თვალსაზრისით. ძალიან მაღალი შეფასება აქვს სოციალური მუშაკების მომსახურებასაც, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში საუბრობენ არაეთიკურ მოპყრობასა და ქცევაზე (მაგ. სიმთვრალეზე აუთრიჩის დროს).

ანალოგიურად იურისტის მომსახურება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საჭირო სერვისია. ამ შემთხვევაში რესპონდენტების უმრავლესობა "ძალიან კარგად" ან "კარგად" აფასებს, თუმცა, უფრო არაერთგვაროვანია შეფასებები და ცალკეულ შემთხვევებში უყურადღებობასა და იურისტების არასაკმარის ჩართულობაზე ჩივიან. აქ აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ვინაიდან სამართლებრივი მიდგომა გამოიყენება ორგანიზაციების მთავარ სტრატეგიად, ტრანსგენდერ ადამიანებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ სფეროს სპეციალისტებს, ხშირად არ აქვთ ცოდნა ჩივილის, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის და ადვოკატების როლის შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია, რომ წინასწარ ადეკვატური მოლოდინები შეიქმნას იურისტის, პროკურორის როლების და, ზოგადად, პროცედურის შესახებ.

ასევე დავძენდი, რომ თემის ზრდასთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციებიც შეიცვალა. თუ ადრე ორგანიზაციების ოფისები თავშეყრის ადგილები იყო, ახლა სხვა სოციალიზაციის სივრცეების შექმნამ და არასამთავრობო ორგანიზაციების ზრდამ ეს ფუნქცია მეორე ადგილზე გადაწია. გამოკითხული რესპონდენტების თქმით ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ბარები და კაფეები ნაკლებ ხელმისაწვდომია ფინანსური და უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე, შესაბამისად, რესპონდენტები მუდმივად აღნიშნავენ შეკრების უსაფრთხო სივრცის საჭიროებას. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე პოპულარული სათემო მობილიზების მეთოდები, მაგ., კინოჩვენებები და დისკუსიები ნაკლებ ამართლებს, შესაბამისად, ორგანიზაციების წინაშე ახალი გამოწვევა დგება. გამოსავალი შეიძლება, იყოს უკვე არსებული სივრცეების ისე გარდაქმნა, რომ ტრანსთემის მეტი ჩართულობა ან ორგანიზაციის გარეთ სივრცეებში სხვადასხვა ღონისძიებებისთვის რესურსების მოძიება მოხერხდეს.

ორგანიზაციების მიერ ცალკეული თემის წევრების გაძლიერება აისახება მათ მოტივაციაზეც, ჩაერთონ აქტივიზმში. გამოკითხულთაგან 13 ადამიანი დადის აქციებზე და დანარჩენებს შორის 2 ადამიანის გარდა ყველას სურს, იყოს აქტივიზმში ჩართული. თუმცა, ამავე დროს, 12-ს უნდა ემიგრაციაში წასვლა. აქ მრავალ ბრძოლაში დამარცხებამ თემის დიდ ნაწილს ბრძოლის მოტივაცია დაუგდო. ამასთან, ვინაიდან აქტივიზმი დიდწილად ორგანიზაციების მიერაა დომინირებული და სამართლებრივი კომპონენტია წამყვანი, ამ ბრძოლების შესახებ (მაგ., კანონმდებლობის დონეზე) თემს ინფორმაცია არ აქვს. ამიტომ აუცილებელია, როგორც კვლევის დროს, ისე პრეზენტაციების სახით ამ ინფორმაციის მიწოდება.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან კვლევა ორგანიზაციის დაკვეთით განხორციელდა, ორგანიზაციების სერვისების შეფასებისას რესპონდენტების მხრიდან ერთგვარი სოციალური სასურველობის ეფექტი იქმნებოდა, შესაბამისად, მონაცემები ეყრდნობა არა მხოლოდ მათ შეფასებებს, არამედ თემის წევრებისგან სხვა სოციალიზაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციასაც.

ინტერსექციური ჩაგვრა

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა ნარატივში ნათლად იკვეთება ჩაგვრის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ერთდროულად მოქმედებს. წამყვანი ეკონომიკური და ტრანსფობიური ჩაგვრაა. სრულიად არაეფექტური იქნება, თუ მხოლოდ ერთსა ან მეორეზე ვკონცენტრირდებით, ვინაიდან ჩაგვრის სხვადასხვა სისტემები უბრალოდ ერთმანეთს მექანიკურად არ ემატება და ერთმანეთთან კვეთაში სპეციფიკურ გამოწვევებს ბადებს. ამგვარ ჩაგვრას კიმბერლი კრენშოუ (1991) ინტერსექციურს უწოდებს. რიგ შემთხვევებში ძალიან ძნელია, გამოვაცალკევოთ ადამიანის მხოლოდ ერთი იდენტობა, რომლის მიხედვითაც ის იჩაგრება. ზოგჯერ მართლაც პირდაპირ ტრანსფობიურ დისკრიმინაციასა და ძალადობასთან გვაქვს საქმე, თუმცა მიზოგინია (ქალთმოძულეობა) ტრანსფობიის განუყოფელ ნაწილად შეიძლება, მოვიაზროთ. "გამოსასწორებელი", "მადისციპლინირებელი" და სექსისტური ქმედებები და კომენტარები ტრანსგენდერი კაცების და ტრანსმასკულინური ადამიანების მიმართ ამის ერთი მაგალითია. ანალოგიურად, საზოგადოების მხრიდან ქალობის სიძულვილი თან სდევს ტრანსფემინური გამოხატვის მქონე სუბიექტების არსებობას.

ანალოგიურად, სექსუალური ნიშნით ტრანსგენდერი ადამიანების ჰიპერსექსუალიზება, ეგზოტიზება, მათი სექსუალური და ემოციური გამოცდილებების გაუფასურება ხშირი მოვლენაა. რესპონდენტების ნარატივში მეორდება სტაბილური ურთიერთობების სირთულე. ამავე დროს 15 რესპონდენტს სურს ქორწინება, ხოლო 11 ისურვებდა შვილის ყოლას. ვინაიდან გამოკითხულთა უმრავლესობა ბიოლოგიურად იმავე სქესის პარტნიორს არჩევს, ჰომოფობიური კანონმდებლობა შვილის ყოლასა და ქორწინებას შეუძლებელს ხდის. "უსახსრობის გამო ვერ გავაკეთებ განაყოფიერებას, არ წარმომიდგენია ჩემი თავი ორსული", - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი, დანარჩენები ხშირად ახსენებენ ფინანსურ პრობლემებს, რაც შვილის ყოლას და აღზრდას შეუძლებელს ხდის მათთვის. იმ რესპონდენტებს შორის, ვისაც შვილი ჰყავს, 2-ს ფაქტობრივად გაწყვეტილი აქვს კომუნიკაცია მეორე მშობლის ტრანსფობიური დამოკიდებულების გამო.

შესაბამისად, ჰომოფობიური, ტრანსფობიური და მიზოგინიური დისკრიმინაცია ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ვერ ასახავს ჩაგვრის სისტემების სირთულეს და, შესაბამისად, ხელმეორე ვიქტიმიზაციისგან დაცვას, ეკონომიკური, საცხოვრებლის, თანაცხოვრების და ჯანდაცვის ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას უდიდეს გამოწვევად ტოვებს. ჩაგვრის სისტემებისგან ხელუხლებელი არც ტრანსგენდერი ადამიანების თვითაღქმა რჩება. ის, თუ როგორი უნდა იყოს "სწორი" მოქალაქე, ტრანსარსებობის განუყოფელი ნაწილია და მუდმივად შიდა დაპირისპირებებს და დაძაბულობებს ბადებს, როგორც ზოგადად ჯგუფს შიგნით არსებული განსხვავებების გამო, ისე - წარმოსახული გენდერული როლების სწორად ვერათვისების გამოც. ეს უკანასკნელი გამოიხატება თვითონ ჯგუფს შიგნით, მაგ., აივ-ის მქონე ან სექსმუშაკების დისკრიმინაციაში, ტრანსგენდერებს და ტრანსსექსუალებს შორის პასიურ აგრესიაში, მწირი რესურსების გამო კონკურენციაში და, რაც ყველაზე მთავარია, თვითონ ქვიარ თემში ტრანსგენდერი ადამიანების გამოცდილების მარგინალიზებაში.

დინ სპეიდი უკანასკნელი პრობლემის აღსაწერად და მისი დასაძლევი ჩარჩოს შესამუშავებლად სანდოვალის "დიფერენციალური ცნობიერების" ცნებას ეყრდნობა (2008). ტრანსგენდერი ადამიანები გეი, აივ-ის, სექსმუშაკების, ფემინისტური აქტივიზმისა და, უფრო ფართოდ, მრავალი სხვა მოძრაობის თანაკვეთაზე არსებობს. უმრავლეს შემთხვევაში ამერიკის მაგალითზე ტრანსაქტივისტები ძირითადად გეი აქტივიზმთან ასოცირდებიან, ანალოგიურად, საქართველოშიც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები ერთ მოძრაობად და ჯგუფად მოიაზრება. თუმცა ტრანსგენდერი ადამიანების და ლესბოსელების თუ გეების პრობლემები იდენტური არ არის. თვითონ თემშიც ტრანსგენდერი ადამიანებით მართული ტრანსორგანიზაციის არარსებობა ტრანსგენდერ თემს თვითონ მოძრაობაშიც გარკვეულ მარგინალიზებულ პოზიციაზე ამყოფებს. კვლევის პერიოდში ვცდილობდი, მეპოვა ტრანსპოზიციიდან დაწერილი სტატიები და ბლოგები და აღმოვაჩინე, რომ პირველ პირში მონათხრობი ტრანზიციის ისტორიები ძალიან მწირია და ნაკლები სივრცე ეთმობა ფემინისტურ და ქვიარ პლატფორმებზე. შესაბამისად, ტრანსთემს მუდმივად უწევს ლგბტი თემსა და ფემინისტურ მოძრაობაში ალიანსების და თანაკვეთის წერტილების პოვნა.

ამ მრავალფეროვნების აღსაწერად დინ სპეიდი სანდოვალის დიფერენციალური ცნობიერების ცნებით ხსნის, რომელიც ტრანსწინააღმდეგობას არც მხოლოდ რევოლუციური მოთხოვნების და არც მხოლოდ თანასწორობის მოთხოვნების ჩარჩოში აქცევს (2008). თვითგადარჩენის გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს შემთხვევაში შეიძლება, ითქვას, რომ ზოგადად ლგბტი თემის მხრიდან თანასწორობის ცნობიერება დომინირებს. "ცნობიერების ეს ფორმა ცხადად ამბობს, რომ განსხვავება ჩაგრულ ჯგუფსა და დომინანტ ჯგუფს შორის ზედმეტად აქცენტირებული იყო და რომ ჩაგრულ ჯგუფს უნდა მიეცეს საშუალება, რომ მოქალაქეობას მიაღწიოს იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ამჟამად არის დომინანტი სისტემისაგან განსაზღვრული" (სპეიდი, 2008, გვ. 43). შესაბამისად, მარტივად რომ ვთქვათ, "მეც შენნაირი ვარ" ამ მიდგომის მთავარი ლოზუნგია. ტრანსგენდერი ადამიანებისთვის მხოლოდ ამ მიდგომაზე

დაყრდნობა წამგებიანია, ვინაიდან არა მხოლოდ ზოგადად საზოგადოებასთან, არამედ თემის წევრებთან მიმართებაშიც უწევთ თავისი "ნორმალურობის" მტკიცება.

საქართველოში ამის კარგი მაგალითია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ აქტივიზმი, რომელიც პოლიციის გაძლიერებას და დატრენინგებას, ცალკე დანაყოფის შექმნას ემსახურება. ანალოგიურად, სავალდებულო ოპერაციის გარეშე სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების მოთხოვნა, რომელიც ტრანსგენდერ ქალებსა და კაცებს შესაძლებლობას მისცემს, ჩანაწერი სურვილისამებრ შეცვალონ. მეორე მხრივ, სპეიდს მოჰყავს აშშ-ში ტრანს წინააღმდეგობის მაგალითები, რომლებიც პოლიციისა და სადამსჯელო სისტემის უფრო მეტად გაძლიერებას ეწინააღმდეგებოდა და კონტრპროდუქტიულად თვლიდა მათ, რაც თვითონ ჯგუფის შიგნით განხეთქილებას იწვევდა (სპეიდი, 2008). სანდოვალის განმარტებას რომ მივყვეთ, ეს უფრო რევოლუციური ცნობიერების მაგალითს წარმოადგენს, რომელიც არა არსებული სისტემის შიგნით თანასწორობას, არამედ სისტემის გარდაქმნას მოითხოვს (სპეიდი, 2008).

სპეიდის მიდგომა გამორჩეული იმით არის, რომ ის არ გვთავაზობს მხოლოდ ერთ ჭეშმარიტ გამოსავალს, რომლის მიღმაც სხვები "მოღალატეებად" შეიძლება, შეირაცხოს. გადარჩენის და კეთილდღეობის უშუალო გამოწვევები სიტუაციიდან გამომდინარე საჭიროებს გამოსავლის ძიებას და არა მორალური იმპერატივით, არამედ მათი ეფექტურობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. თუმცა საორიენტაციო პრინციპად შეიძლება ითქვას, რომ სპეიდის მიერ წამოყენებული კითხვები გენდერის გაგების და განსაზღვრის შესახებ აქტუალობას არ კარგავს. საქართველოში მზარდი თემის პირობებში, სავალდებულო სტერილიზაციის გაუქმებასთან ერთად (რომელიც ცალსახად საჭირო ინიციატივად უნდა შეფასდეს) აუცილებელია ისეთ კონცეპტუალურ და შემდგომ საკანონმდებლო ჩარჩოზე საუბარი, რომელიც ტრანსგენდერ თემში არსებული საჭიროებების მრავალფეროვნებას ასახავს.

არასამთავრობო ორგანიზაციებში საჭიროებების მრავალმხრივი ბუნება აღიარებულია და როგორც წესი, ბენეფიციარებთან მულტიდისციპლინური გუნდი მუშაობს ("ვისგშიც" და "თანასწორობის მოძრაობაშიც"), რომელიც სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, იურისტის, ექიმის უფასო მომსახურებას სთავაზობს ტრანსგენდერ ადამიანებს. თუმცა, მუდმივად მეორდება დასაქმებისა და საცხოვრისის პრობლემა, რომელსაც ორგანიზაციები მხოლოდ ინდივიდუალურად პირველადი ფულადი დახმარების სახით თუ სთავაზობენ ან ისევ თემში ურთიერთდახმარების მეშვეობით დროებით გვარდება. არცერთ ორგანიზაციას ამ ეტაპზე არ გააჩნია რამე სისტემური გარდაქმნის სტრატეგია ეკონომიკური ჩაგვრის დასაძლევად და დისპროპორციულად ითავსებს კეთილდღეობისთვის საჭირო ბაზისური სერვისების ფუნქციებს. აქტივიზმში ჩართვისა და პიროვნული გაძლიერების თვალსაზრისით ორგანიზაციების როლი თვალსაჩინოა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია უკეთესი სტრატეგია ეკონომიკურ

გაძლიერებაზე, რომელიც ეკონომიკური ჩაგვრის მიზეზად მხოლოდ ტრანსფობიას არ განსაზღვრავს.

დასასრულს დავძენდი, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ინფორმაციის გავრცელებისა და მოძრაობების მშენებლობის ახალ გამოწვევებს, მაგრამ ასევე გაერთიანებებისა და აქტივისტური ბრძოლისთვის შესაძლებლობებსაც იძლევა. ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარებული ციფრული უსაფრთხოების კვლევა ამას ადასტურებს (Costache & others, 2018). საქართველოშიც აუცილებელია ამ სივრცეების ათვისება და ტრანსაქტივიზმისთვის მისი პოტენციალის გამოვლენა.

შეჯამება

კვლევის დასაწყისში დასახულ ამოცანებს რომ მივუბრუნდეთ, შეიძლება ითქვას:

- **სამართლებრივი საჭიროებები**
  საკანონმდებლო თვალსაზრისით ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროება
  ხშირად იკარგება უფრო ზოგადი ფემინისტური და ქვიარ ინიციატივების ფონზე. ამისთვის საჭიროა კანონმდებლობაში არსებული ესენციალიზმის აღმოჩენა და მის საპირისპიროდ ქმედითი ალტერნატივების შეთავაზება;
  საკანონმდებლო პრობლემების გარდა, სამართლებრივი კუთხით, ერთი მხრივ, ცოდნის ნაკლებობისა და მეორე მხრივ, იძულებითი ქამინგაუთის შიშის გამო დისკრიმინაციისა და ძალადობის რიგი შემთხვევები უპასუხოდ რჩება.
  რაც შეეხება სქესის სამართლებრივ აღიარებას, საჭიროა უფრო ფართო დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან დღეს ამ საკითხზე ცოდნის ნაკლებობა და გამოცდილებების დიდი მრავალფეროვნება ძნელს ხდის ერთიანი, ყველასთვის სასარგებლო და ინფორმირებული გამოსავლის პოვნას.

- **ფიზიკური და კიბერ უსაფრთხოება**
  საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ფიზიკური და ვერბალური ძალადობა ზღუდავს მათი სოციალიზაციის, გადაადგილებისა და დასაქმების შესაძლებლობებს. ამ პროცესში პოლიციის მხრიდან ძალადობა, შანტაჟი და, ზოგადად, ჰომოფობიური დამოკიდებულება არსებით გამოწვევას წარმოადგენს, რაც ამ ეტაპზე მხოლოდ ტრანსგენდერი ადამიანების უკეთესად ინფორმირებით, უფრო გულისხმიერი სერვისების შეთავაზებით და თემის გაძლიერებით დაიძლევა. პოლიციასთან მუშაობა უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს და შედეგები ძალიან მწირია, შესაბამისად, თემის გაძლიერებაში მეტი რესურსია

ჩასადები. ეს განსაკუთრებით სექსმუშაკების თემს ეხება, რომელსაც პოლიციასთან გამკლავება ყოველდღიურად უწევს, თუმცა კი გარკვეული სერვისების შესახებ ინფორმაცია არ აქვს.
ინტერნეტსივრცეები, ერთი მხრივ, ტრანსფობიური ბულინგის სივრცეა, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლებლობას ქმნის ტრანსაქტივიზმისთვის, ვინაიდან ავტომატურ ქამინგაუთს და მასთან დაკავშირებულ ძალადობის საფრთხეს არ გულისხმობს. კიბერაქტივიზმი ტრანსთემისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი შეიძლება, იყოს, თუმცა ონლაინ თავის დაცვის ცოდნაც აუცილებელია.

- **ეკონომიკური მდგომარეობა**
  ტრანსფობია და ეკონომიკური პრობლემები იმდენადაა ერთმანეთთან გადაბმული, რომ ძალიან ძნელია, გამოვაცალკევოთ. გენდერულად არაკონფორმულ ბავშვებს სკოლაში ბულინგისა და ძალადობის გამო ხშირად სწავლის გაგრძელების სურვილი არ აქვთ. ამას ემატება ზოგადად განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც საბოლოოდ ტრანსგენდერი ადამიანების დასაქმების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ამცირებს.
  მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ტრანსგენდერი ქალების სექსსამუშაოში მასიური ჩართვის მთავარი მიზეზია. ეკონომიკური იძულება, არასრულწლოვნების სექსსამუშაოში ჩართვა და ძალადობა როგორც თემს შიგნით, ისე პოლიციისა და საზოგადოების მხრიდან, სექსმუშაკებს უმნიშვნელოვანეს ზიანს აყენებს და მუდმივი თვითგადარჩენის რეჟიმში ამყოფებს. თუმცა, ამავდროულად "პლეშკა" ერთიანობისა და ქალობის შეგრძნებას აძლევს ტრანსგენდერ ქალებს. მათთვის კი, ვინც არაა ჩართული ეკონომიკური იძულების გამო, ამ საქმის ანაზღაურება და სიამოვნება წამყვანი მოტივატორებია.
  სექსსამუშაოს რეგულირების შესახებ ცოდნის სიმწირე ინფორმირებული პოზიციის ქონის შესაძლებლობებს ზღუდავს, შესაბამისად, აუცილებელია გაფართოებული შეხვედრები ამ საკითხზე და თემის წევრებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება.
  ზოგადად, საჭიროა ტრანსთემის ეკონომიკური გაძლიერების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ტრანსფობიას წამყვან, მაგრამ არა ერთადერთ ფაქტორად დასახავს პრობლემის გადაჭრის პროცესში.

- **ჯანდაცვა**
  ეკონომიკური ფაქტორი როგორც ზოგადი ჯანდაცვის, ისე ტრანსსპეციფიკური სერვისების მიღების შესაძლებლობებს ზღუდავს ტრანსთემისთვის. აივ-ის და სგგდ-ების შესახებ გარკვეული ცოდნა ორგანიზაციებმა გაავრცელეს და აივ-ის და ბე და ცე ჰეპატიტების ტესტირებაც მართალია, ვერ ფარავს სრულიად თემს, მაგრამ სხვადასხვა აუთრიჩ აქტივობებით საკმაოდ ბევრ ადამიანს მოიცავს. თუმცა საზოგადოებაში მწირი ცოდნისა და ჩვევების არარსებობის გამო ტესტირება პრევენციულ ხასიათს ნაკლებად ატარებს. ანალოგიური პრობლემებია რეპროდუქციული სერვისების მიღების თვალსაზრისით. ზოგადად, ტრანსფობია და ექიმების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება ხშირია და კიდევ უფრო მეტად რიყავს ტრანსთემს

ჯანდაცვის სისტემიდან. ხოლო აივის ან რამე სხვა სგგდ-ს შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო მწვავდება და უფრო მეტი სტიგმის და თვითსტიგმის პირობებს ქმნის.
ტრანზიციისთვის საჭირო სამედიცინო პროცედურებიდან ტრანსგენდერი ადამიანების დიდ ნაწილს უნდა ჰორმონული თერაპიის და მკერდის ოპერაციის გაკეთება. შედარებით ნაკლებს - სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის. ეკონომიკური მიზეზები და პროფესიონალი ექიმების არარსებობა სახელდება მთავარ დაბრკოლებად ამ სერვისების მისაღებად. თუმცა, ასევე ინფორმაციის სიმწირე ზოგადი პრობლემაა. შავ ბაზარზე ჰორმონების მოპოვება შედარებით იშვიათია და ამგვარი მკურნალობის შედეგად გვერდითი ეფექტების შესახებ მიუთითებენ.
ეკონომიკური მდგომარეობა და ტრანსფობია ნეგატიურად აისახება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ის სუიციდური აზრების და მცდელობის მიზეზიც კი შეიძლება, გახდეს. ფსიქიკური ჯანმრთელობა, როგორც ზოგადად საზოგადოებაშია უგულებელყოფილი და სტიგმატიზებული, ანალოგიურად ტაბუირებულია თემშიც, რასაც ეკონომიკური პირობებიც უწყობს ხელს. ამ პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციები ფსიქოლოგის მომსახურებას სთავაზობენ, რომელიც ძალიან კარგად ფასდება თემის მიერ, თუმცა რეგიონებში ამ სერვისების მიწოდებასა და უფრო მოქნილი გრაფიკის საჭიროებაზე მიუთითებენ.

- **ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული სერვისები**
  ძირითადი პრობლემები მიემართება აივტესტირებას, რომლის ადმინისტრირების შესახებ საჭიროა ერთიანი პროტოკოლის შემუშავება და სოციალური მუშაკების დატრენინგება ბიოეთიკაში.
  ასევე ორგანიზაციებმა უნდა მიაწოდონ მეტი ცოდნა სამართლებრივი მექანიზმებისა და, ზოგადად, მათი საქმიანობისა და თანამშრომლების როლების შესახებ, რათა თემს ჰქონდეს ადეკვატური წარმოდგენა და მოლოდინები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Costache I., Baigazieva S., Gejadze E. (2018) *Mapping the Digital Landscape of Trans Activists in Central Asia and Eastern Europe,* Astrea Lesbian Foundation for Justice
2. Harris P.A. (1990), Race and Essentialism in Feminist Legal Theory, 42 Stan. L. Rev. pp. 581-616.
3. Mayeda, G. (2005), Re-Imagining Feminist Theory: Transgender Identity, Feminism, and the Law. (2005). Canadian Journal of Women and the Law, 28Vol. 17, No. 2, p. 423
4. Paisley C. (2006) Introduction, in TRANSGENDER RIGHTs at xiii, xiv
5. Young I.M. in George L. Henderson & Marvin Waterstone (eds.), *Geographic Thought: A Praxis Perspective*. New York, USA: Routledge. pp. 55-71 (2009)
6. Spade, Dean, Methodologies of Trans Resistance (August 15, 2008). A COMPANION TO LESBIAN, GAY, BISEXUAL, TRANSGENDER, AND QUEER STUDIES, George E. Haggerty, Molly McGarry, eds., Blackwell, 2007. Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=1230403
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 29 მარტი, 2018 შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო სამ თვეში ოჯახური დანაშაულის ბრალდებით 855 პირი დააკავა მოძიებულია 12 მარტს, 2019 https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-bolo-sami-tveshi-odjakhuri-danashaulis-braldebit-855-piri-daakava/11537
8. საქართველოს პარლამენტი (2014), კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, თბილისი, საქართველო
9. საქართველოს პარლამენტი (2018), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
10. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2015), ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში, თბილისი
11. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2018), SUBMISSION TO THE UN INDEPENDENT EXPERT on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity
12. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2017), არაღიარებული ძალადობა: სამართალწარმოების ანგარიში, თბილისი
13. ჩუბინიძე & ჭაუჭიძე (2016), სექს-შრომა თბილისში: ინფორმალიზაცია, აგენტობა და განსხვავებული გამოცდილებები, EMC, თბილისი